www.adjaraps.wordpress.com

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი

# აჭარა P.S.

26 ივლისი, 2011 წელი, №19 (615)

ფასი 50 თეთრი

ჩვენ არ ვიცვლით ფერს!

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

# სოლიდარობა ფოტორეპორტიორებს!

## განთავისუფლების მიუხედავად ფოტოგრაფების საქმე კვლავ ბურუსით მოცული რჩება



ფოტორეპორტიორები ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი გედენიძე, გიორგი აბდალაძე და ნათია გედენიძე თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან 22 ივლისს გათავისუფლდნენ. პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 16.00 საათზე დაიწყო.

სხდომას მოსამართლე ზვიად ესებუა უძღვებოდა. მთავარმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. შუამდგომლობის თანახმად, პროკურატურამ მოითხოვა, რომ ზურაბ ქურციკიძეს 3 წლით, გიორგი აბდლაძესა და ირაკლი გედენიძეს 4-4 წლით, ხოლო ნათია გედენიძეს 1,6 წლით თავისუფლების პირობითად აღკვეთა შეეფარდოთ. გათავისუფლებულებმა კომენტარი არ გააკეთეს. მათი მხარდამჭერი აქციის მონაწილეთა შეაფასებით ფოტოგრაფების საქმე კვლავ ბურუსით მოცული დარჩა.

**„აჭარა P.S.“**

# საქართველოს მოუკვდა ოტია იოსელიანი

გვ.3

# სააკაშვილი გამოჩენილ სომეხთა სიაში



სომხურმა ვებგვერდმა მიხეილ სააკაშვილი გამოჩენილ სომეხთა სიაში შეიყვანა.

სია, რომელშიც მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი ადამიანია, ვებ.გვერდ **planeta-armenya.narod.ru**-ზე არის გამოქვეყნებული.

□სომხეთმა მრავალი სამხედრო ტალანტი და პოლიტიკური ლიდერი, კულტურულ თუ სპორტულ სფეროში ცნობილი ადამიანი წარმოშვა. თურქეთში სომხების გენოციდის შემდეგ ბევრი მათგანი ემიგრაციაშია, რომელთაგანაც ბევრმა წარმატებას მიაღწია უცხო მიწაზე□, - იუწყება ვებგვერდი.

გამოჩენილ სომეხთა სიაში ასევე მოხვდნენ: შარლ აზნაური, ალექსანდრე სუვოროვი, ბულატ ოკუჯავა, გი დე მოპასანი, ირინა ალეგროვა, მიშელ ლეგრანი და სხვები.

სომხური ვებ.გვერდი ამჯერად არაფერს წერს შოთა რუსთაველის სომხურ წარმოშობაზე, ხოლო საიდანაა სააკაშვილი წარმატებული სომეხი - ამ კითხვას ალბათ საქართველოში გასცემენ პასუხს.

# ჩამოიმსხვრევა პოლიტიკური პირამიდები...



გვ.2

# აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა თანამდებობა დატოვა



ეს ინფორმაცია ჟურნალისტებთან საუბარში თავად ლევან ანთაძემ დაადასტურა და აღნიშნა, რომ თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი წასვლის მიზეზად გარემოს შეცვლას ასახელებს და ამ ეტაპზე დასვენებას გეგმავს. ლევან ანთაძე აჭარის ჯანდაცვის მინისტრად 2008 წელს დაინიშნა. იგი 2005-2006 წლებში ბათუმის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსის, 2006-დან 2007 წლამდე ბათუმის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური სამსახურის უფროსის, 2007 წლიდან 2008 წლამდე კი „ბათუმის წყლის“ გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა.





მუდმივად ცვალებადი მოვლენები, ხშირად გაჩენილი კითხვები და პასუხები, რომლებსაც მხოლოდ „მედიატორისგან“ მიიღებთ!

ნახეთ „მედიატორი" ნინო გოგიტიძესთან ერთად

ყოველ ოთხშაბათს, 20 საათზე -

„აჭარა P.S."-ის სტუდიიდან!

www.adjaraps.wordpress.com

რეკლამა „აჭარა P.S."-ში

ტელეფონი: 551 55 30 55


ირჩევ „აჭარა P.S.“ - ესე იცი, მართალი ხარ!

აჭარა P.S. - 2011 წლის 26 ივლისი №19 (615)

გაზეთი არის საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი

# ჩამოიმსხვრევა პოლიტიკური პირამიდები...



კაცობრიობას უხსოვარი დროიდან მრავალი იმპერია ახსოვს, რომელთა ჩამოთვლა მეხსიერების ლაბირინთებში ძალიან შორს წაგვიყვანს. მრავალი მათგანი პოლიტიკურმა ქარტეხილებმა დიდი ხანია წალეკეს, თუმცა დღევანდელ კაცობრიობას მათი წარმოქმნისა და მსხვრევის კანონზომიოერებანი დღესაც არა აქვს შესწავლილი. სწორედ ამიტომ დღევანდელი გადასახედიდად ერთობ ძნელია იმპერიათა წარმოქმნისა და დაშლის ისტორიული კანონზომიერებების ობიექტური შეფასება. თანამედროვე ეპოქას, 21-ე საუკუნეს ზოგიერთი მათგანი კვლავაც შემორჩა, რომელთა მზარდ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს დღესაც ეწირება თვითმყოფადი ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, რაც სრული განადგურებით ემუქრება შედარებით პატარა ქვეყნებს! მათ შორისაა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია — საქართველო! მრავალტანჯულმა საქართველომ დღემდე გაუძლო გადამთიელთა ბარბაროსულ შემოტევებს, იგი დღესაც ცოცხალია და მხოლოდ ძინავს, მჯერა, რომ ღვთის ლოცვა-კურთხევით ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ერი და ბერი აუცილებლად გამოიღვიძებს!!! მიუხედავად საქართველოს ტრაგიკული წარსულისა, მიუხედავად იმისა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ქართველთა სისხლითაა მორწყული და საქაეთველოს პოლიტიკურ პულსზე მისი გულისცემა თითქმის არ შეინიშნება, მე მაინც მჯერა, რომ ღვთის ნებით და შეწევნით ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო მაინც გადარჩება, შიდა და გარე მტრებს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაზე საბოლოო გამარჯვება მაინც არ უწერიათ!!! საქართველო როგორც ღვთიური, ასევე კოსმიური გაგებით ნამდვილად არის ჩვენი პლანეტის აბსოლუტური კოსმიური, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ცენტრი! სწორედ ამიტომაა ჩვენი ქვეყანა დღევანდელი სუპერიმპერიების, სუპერსახელმწიფოების, სუპერმონსტრების — ამერიკისა და რუსეთის აბსოლუტური ყურადღების ცენტრში! მინდა თქვენთან ერთად განვიხილოთ საქართველოს უახლესი ისტორია და ობიექტური, მიუკერძოებელი, სამართლიანი შეფასება მივცე მას. დღევანდელი გადასახედიდად ნათლად ჩანს, რომ მსოფლიო მასონიზმის მომძლავრების ნიადაგზე არსებობს მსოფლიოს პოლიტიკური პირამიდა ამერიკული იმპერიალიზმის სახით, რომელიც განადგურებით ემუქრება კაცობრიობას, რომლის უტყუარი ნიშნებია სამხრეთ აფრიკაში და არაბულ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები, რადგან მართლმადიდებლური, რუსული იმპერია ჯერ კიდევ ჩანასახოვან სტადიაშია. იგი „ღირსეულ“ კონკურენციას ამერიკულ ანუ მასონურ იმპერიალიზმს ჯერაც ვერ უწევს, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა! უგუნურ მავანთ ტყუილად ჰგონიათ, რომ რუსული იმპერიის დაშლით საქართველო გაბრწყინდება, ეს პოლიტიკური დილეტანტიზმი და სიბეცეა! დღევანდელ მსოფლიოში აბსოლუტურად დარღვეულია მსოფლიო პოლიტიკური ბალანსი, რის საფუძველზეც მსოფლიო პოლიტიკური ტყვები მიმდინარეობს! მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ უახლოეს ათწლეულებში ეს პოლიტიკური ბალანსი აუცილებლად აღსდგება და მსოფლიოში პოლიტიკური სტაბილურობა დაისადგურებს! მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო პოლიტიკური ავანტიურისტები შეეცადნენ ამ პოლიტიკური, ბუნებრივი ბალანსის დარღვევას და გარკვეულ „წარმატებებსაც“ მიაღწიეს, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი პოლიტიკური მოვლენაა! ბუნებაში თითქმის ყველაფერი ორსახოვანია, ამიტომ ღვთიური და კოსმიური გაგებითაც დაუშვებელია ყოველგვარი ბუნებრივი ბალანსის დარღვევა, წინაალმდეგ შემთხვევაში კოსმიური, ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმები გარდაუვალია! სამწუხაროდ 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ამ ორი სუპერმონსტრის პოლიტიკური ჭიდილის პოლიგონად აქციეს, რის გამოც დაიკარგა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები! ეს პროცესები ასე ტრაგიკულად არ წარიმართებოდა, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყვნენ მ. კოსტავა, ზ. გამსახურდია და გ. შარაძე. ისინი ვერ „ჩაჯდნენ“ მსოფლიო იმპერიალისტთა გლობალურ ინტერესებში და ამიტომ მსოფლიო პოლიტიკური მაფიის დაკვეთით ფიზიკურად განადგურდნენ! ეს უახლესი ისტორიის პოლიტიკური რეალობაა ბატონებო! გახსოვდეთ! უახლეს წლებში ჩვენ მოწმე გავხდებით რუსული მართლმადიდებლური იმპერიის აღზევებისა! ვინც დღეს პოლიტიკური სირაქლემას პოზიციაშია, უმჯობესია ქვიშიდან თავი არასოდეს ამოჰოს, რადგან უახლოეს მომავალში მათი „გონიერი“ პროგნოზების საპირისპიროდ სულ სხვა პოლიტიკურ რეალობას დაინახავენ! მე მჯერა, რომ აღზევებული რუსული მართლმადიდებლური იმპერია ღვთის ნებითა და ჩარევით უმტკივნეულოდ, გლობალური პოლიტიკური კატაკლიზმების გარეშე, გარკვეული დოზით დათმობს პოლიტიკურ პოზიციებს და საქართველო გონიერი, ეროვნული, მართლმადიდებლური ხელისუფლების არსებობის შემთხვევაში აუცილებლად პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწევს! ეს შეუქცევადი, ბუნებრივი და ღვთიური პროცესია, რომელიც თუნდაც გლობალურ პოლიტიკურ პროცესთან შედარებით გაცილებით მაღლა დგას და მას წინ ვერაფერი, მათ შორის ვერც მასონურ-ამერიკული და ვერც რუსული იმპერიალიზმი წინ ვერ აღუდგება! 1991 წელს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ეროვნულმა, მართლმადიდებლურმა ხელისუფლებამ საქართველოს ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუტანა, მაგრამ სამწუხაროდ შიდა და გარე მტრების ერთობლივი ძალისხმევით ეს პროცესი ოცი წლით შეჩერდა! მომდევნო პერიოდში გარე ძალების სცენარის მიხედვით ანტიეროვნულმა, ანტიკონსტიტუციურმა ხელისუფლებებმა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურისტული ომების გაჩაღებით წელში გატეხეს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რის გამოც საქრთველომ დაკარგა ისტორიული ტერიტორიები და ბუნებრივია დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი! თავს ნუ იტყუებთ და თვალებს ნუ დაიბრმავებთ მამულიშვილნო! საქართველო სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ხოლო პოლიტიკურად ამერიკის მიერ, ეს პოლიტიკური აქსიომაა ბატონებო! პოლიტიკა და ეკონომიკა და-ძმანი არიან, უფრო მეტიც, ეკონომიკა ყოველთვის მართავს პოლიტიკას, რომლის მიმანიშნებელია ამერიკელთა პოზიციების დათმობა ავღანეთსა და ერაყში! საბოლოო ჯამში რუსეთი ამერიკას კავკასიას არ დაუთმობს, რომლის უტყუარი ფაქტია 2008 წლის 8 აგვისტოს ამერიკული სამხდრო-პოლიტიკური ავანტიურის კრახი! მომავალი წლიდან მსოფლიოში მოსალოდნელი რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები, მსოფლიოს ერთპოლუსიანი მმართველობა წარსულს ჩაბარდება! მსოფლიოს ერთპიროვნული მმართველი ვერ ეყოლება, ეს პოლიტიკური ანომალიაა და ღმერთი ამ ანტიღვთიურ მოვლენას არ დაუშვებს! სამყაროს, მათ შორის მსოფლიოს ერთპიროვნული განმგებელი მხოლოდ განგება, მხოლოდ ღმერთია და ამ ღვთიურ პროცესს პოლიტიკური შარლატანები ვერ შეაჩერებენ! ანტიღვთიური, ანტიბუნებრივი პოლიტიკური პირამიდები აუცილებლად დაიმსხვრევა, ეს ბუნების კანონზომიერი მოვლენაა!!! კაცობრიობის ცოცხალი ორგანიზმი ვერ შეეგუება პოლიტიკურ ანომალიებს, მას მომავალი არ უწერია! პოლიტიკური პირამიდების დაშლის პროცესი რა თქმა უნდა აბსოლუტურად უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. ამიტომ ამ ბუნებრივ და შეუქცევად პროცესს ერი და ბერი მზად უნდა შეხვდეს! ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს ღვთიური სამართლის გარშემო, ქართულმა გენმა ღვთის ნებითა და შეწევნით აბსოლუტურად სწორი მიმართულებით უნდა მიმართოს კონსოლიდაციის პროცესი, გაძლიერდეს რწმენაში და გადადგას აბსოლუტურად მოზომილი გონივრული ნაბიჯები ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის, საქართველოს გადასარჩენად! მე მჯერა, რომ ეროვნული, მართლმადიდებლური ხელისუფლების გონივრული პოლიტიკური კურსის გატარების შემთხვევაში საქართველო გადარჩება! უგუნურებისა და სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურისტების დრო ღვთის ნებით და კურთხევით ისტორიას უნდა ჩაბარდეს! ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისთვის ეს ერთადერთი და რეალური გამოსავალია! გამოიღვიძე ქართველო ერო და ღმერთი აუცილებლად შეგეწევა, წინაალმედგ შემთხვევაში ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიან.

**დემურ ხურცილავა,**
**პარაფსიქოლოგი**

**P.S. უტყუარი პოლიტიკური ალღო მკარნახობს, რომ უახლოეს მომავალში ამერიკული და რუსული პოლიტიკური პირამიდები ღვთის ნებით აუცილებლად ჩამოიშლება, რადგან ისინი ბუნებრივ და პოლიტიკურ ჟამთა ცვლილებას ველარ გაუძლებს!!! ამ დროისათვის ღვთის ნებით საქართველოს უნდა გამოვიდეს პოლიტიკური სუიციდის სტადიიდან, რათა გონივრული, პრაგმატული და გაწონასწორებული პოლიტიკით, მსოფლიო პოლიტიკურ გზაჯვარედინზე წარმოქმნილმა პოლიტიკურმა ქარბობალამ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაგვიაროს!!! ღმერთი ფარავდეს სრულიად საქართველოს!**

## „ვაი შენს პატრონს“



„ვაი შენს პატრონს“ - ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტმა ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელის მისამართით სასტუმრო „რადისონ ბლუს“ გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას წარმოთქვა. პრეზიდენტის კომენტარი პრესიდან თაბახის ფურცლებზე ამობეჭდილი ამონარიდების წაკითხვას მოჰყვა. სააკაშვილმა საუბრისას სტატიის ავტორი არ დაასახელა. მხოლოდ ის თქვა, რომ წერილი მცირეტირაჟიან ფერად ჟურნალში დაიბეჭდა და მასში ბათუმსა და სიღნაღში მიმდინარე მშენებლობა უარყოფითად არის შეფასებული.

სააკაშვილმა სტატიის ავტორს რუსეთის მონა უწოდა. პრესიდან ამოღებული პირველი ამონარიდის წაკითხვის შემდეგ სააკაშვილი ერთ ერთი ინტელექტუალის სტატიის ანალიზზე გადავიდა, რომელიც აღმაშენებლის



ქუჩასა და რიყეზე მოსეირნე ხალხს შეეხებოდა. სააკაშვილის კრიტიკულ გამოსვლებს სატატიის ავტორები -ხელოვნებათმცოდნე თამარ ამაშუკელი და კინომცოდნე გოგი გვახარია გამოეხმაურნენ. ამაშუკელი ამბობს, რომ სტატია არქიტექტურულ კიჩს ეძღვნებოდა და ქვეყნის პირველმა პირმა იგი კონტექსტიდან ამოგლიჯა. სააგენტო „interpressnews“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გოგი გვახარია აცხადებს, რომ პრეზიდენტს სტატიის ავტორები უნდა დაესახელებინა, რაც მათ საავტორო უფლებებს დაიცავდა და სტატიებს უფრო რეიტინგულს გახდიდა. კინომცოდნე ასევე ინტერესდება იმით, თუ, რატომ მონაწილეობენ პრეზიდენტები სასტუმროების გახსნის ცერემონიალებში." მხატვარი ნინო ნიჟარაძე ფიქრობს, რომ პრეზიდენტს შესაძლოა, სტატიები ბოლომდე წაკითხული არ ჰქონდა. ხელოვანი გვახარიასა და ამაშუკელის ნააზრევს იზიარებს და ამბობს, რომ ბათუმი არქიტექტურულად სხვა დიდ ქალაქებს დაემსგავსა და მისთვის დამახასიათებელი იერსახე დაკარგა. ნიჟარაძე ქვ-



ეყნის პირველ პირს ურჩევს, რომ დაგეგმარებისას სპეცილისტების აზრი გაითვალისწინოს და მათი შეხედულებები გაიზიაროს. თამარ ამაშუკელის სტატია სათაურით „პოლიტიკური არქიტექტურა თუ არქიტექტურული კიჩი“ ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ მარტის ნომეში დაიბეჭდა.

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

დრო და ადამიანები

აჭარა P.S. - 2011 წლის 26 ივლისი №19 (615)



# საქართველოს მოუკვდა ოტია იოსელიანი



**სიტყვა თქმული ოტია იოსელიანის დაკრძალვაზე, გელათის საკათედრო ტაძრიდან გამოსვენების შემდეგ 2011 წლის 19 ივლისს.**

ძვირფასო მეგობრებო!

კიდევ ერთი სახალხო მწერალი გადავიდა წუთისოფლიდან მარადისობაში. გადავიდა იმ წინაპართა საუფლოში, რომელთა ანდერძი გულში ჰქონდა ამოტვიფრული. ეს ანდერძია: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იბრძოლა და იღვაწა ღვთისდამლიანი კალმით ისე, რომ ილიას ანდერძიდან წამითაც არ გადაუხვევია, ყველგან და ყოველთვის მშობლიური ენისა და სარწმუნოების გულანთებული ჭირისუფალი იყო. აპოკალიფსური რეჟიმებისათვის, ზოგიერთი მისი კოლეგისაგან განსხვავებით, ხარკი არასოდეს გადაუხდია, იგი ყველგან და ყოველთვის ერთი და განუმეორებელი ოტია იოსელიანი იყო.

მე და ძვირფასი ოტია მუდმივი თანამოსაუბრენი ვიყავით. ბოლო დღეებში, როცა უკურნებელმა სენმა ხელი დარია და მძიმე ხორციელი ტკივილები სულს უხუთავდა, საკუთარ ტკივილზე სიტყვაც არ დასცდენია. ამ მძიმე დღეებშიც სამშობლო სტკიოდა, ენა და სარწმუნოება სტკიოდა, უცხოეთში გადახვეწილი მილიონობით ქართველი სტკიოდა, სტკიოდა მშობლიური ენის კონსტიტუციური უფლებების შელახვა, უცხოეთიდან კულტივირებული და მოძალებული უზნეობა, გარყვნილება, ნარკომანია, უზრდელობა სტკიოდა. ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა დარდი, ვარამი და მწუხარება მის სულსა და სხეულში დაგუბდა. გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეფონით ვესაუბრე. უჭირდა, სიტყვა უწყდებოდა, ახლაც ქვეყნის სატკივარზე წუხდა. რა ამბავია ამდენი მედრესე-ინტერნატი და მეჩეთი რომ იხსნება აჭარაში, სად არის ბათუმის ინტელიგენცია, სად არის აჭარის ხელისუფლება და, საერთოდ, სად ხართ, ხმას რატომ არ იღებთო, ნუთუ აჭარაში აჭარლებს აღარაფერი გეკითხებათო, პირდაპირი და სამართლიანი საყვედურებით ამავსო.


პოეტები შოთა ზოიძე და ზაალ ებანოიძე სტუმრად ოტია იოსელიანთან. 1999 წლის ივნისი.

ამ საყვედურებისათვის ძვირფას ოტიას, არა მარტო ჩემი, მთელი აჭარის სამადლობელი ეკუთვნის.

„ვარსკვლავთცვენა“ რომ გამოვიდა, სრულიად ყმაწვილი ვიყავი. დიდი და მძიმე ომიდროინდელი ერთი ქართული სოფლის სურათებით თვალწინ საკაცობრიო პობლემები გადაგვიშალა.

ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მისმა ნოველებმა გამოჩენილი ბორის პასტერნაკიც კი აღაფრთოვანა და აალაპარაკა. რაც შეეხება გენიალური „დაჩის ზღაპრებს“, მათი ავტორი, ჩემი თვალსაწიერით, მსოფლიოს გამოჩენილ მეზღაპრეთა თანავარსკვლავედში მოჩანს. მწერალი გურამ ბათიაშვილი მკარნახობს, რომ პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მსოფლიოს 140 თეატრში დაიდგაო. დასანანია, რომ ამ შედევრების ავტორს დღეს რუსთაველის პრემიის გარეშე მივაბარებთ მიწას. ესეც ქართული სინდრომი! 2000 წელს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრებმა შავი კენჭები ჩაუყარეს. მაშინ მეც გახლდით კომიტეტის წევრი და კარგად მახსოვს ეს სამზარეულო. კენჭისყრის შედეგები დიდებულმა ანზორ ერქომაიშვილმა, თამაზ წივწივაძემ და მე გავაპროტესტეთ. იმათ მაგიერ, რომლებმაც შავი კენჭები ჩაუყარეს, მე ვუხდი ბოდიშს ძვირფასი ოტიას მაღალ სულსა და გაკელაპტრებულ ცხედარს. თავად მას ერთი საყვედურიც არ დასცდენია. ისტორიამ სხვა პარადოქსიც იცის: 1912 წელს აკაკი წერეთელმა კენჭი იყარა საჩხერეს საკრებულოში. საჩხერელებმაც გააშავეს ჭაღარით მოსილი მგოსანი, საკრებულოში ვინმე ბუცხრიკიძე აირჩიეს.

სანუგეშო ის არის, რომ ძვირფას ოტიას თან მიაქვს ყველაზე მაღალი ჯილდო, რომლის ბადალი არ არსებობს დედამიწის ზურგზე და რომელიც სიზმარშიც კი არ მოელანდება რუსთაველის პრემიის არაერთ ლაურეატს, ეს არის ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული, აღიარება და პატივისცემა. ამ ჯილდოს მხოლოდ და მხოლოდ უფალი ანიჭებს შემოქმედს და აქ კონიუქტურა გამორიცხულია.

იმ ადგილას, სადაც დღეს ოტია დაიკრძალება, უფლის ნათელი მოეფინება. იმერეთში, საქართველოს ამ ღვთითკურთხეულ მხარეში, დღეიდან აღმოცენდება მთაწმინდის პანთეონის ფილიალი. სადაც ოტია იოსელიანი დაიკრძალება, იქ არის მისი მთაწმინდა.

ოტია იოსელიანი სახალხო მწერალი იყო. დავით კლდიაშვილის შემდეგ არცერთ პროზაიკოსს არ ჰქონია იმოდენა სახალხო აღიარება და საყოველთაო სიყვარული, რამდენიც ოტია იოსელიანს ჰქონდა. ამიტომაც მინდა დავემშვიდობო გენიალური ხალხური ლექსის სტრიქონების მცირეოდენი პერიფრაზით: ხალხის იყო, რაც კი იყო, გვიყვარდა და გვიყვარს დღესაც, აქაც დიდი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!

პოეტი
**შოთა ზოიძე**

# რაც დავიწყებით არ იბინდება...

ყოველი ერის კეთილდღეობა, ეროვნული უსაფრთხოება მოსახლეობის ზნეობრივ სიმტკიცეზეა დაფუძნებული. ზნეობრივი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი საზომი კი ის არის, თუ რამდენად აფასებს მოსახლეობა თავის ღვაწლმოსილ წინაპართ, მათ ნაამაგარს, ვინაც ხმლით და კალმით, სისხლითა და ოფლით შექმნეს ჩვენი ისტორია, საამაყო ეროვნული კულტურული ტრადიციებითა და ამოუწურავი სიბრძნის საგანძურით სამშობლო დღემდე მოგვიტანეს. მათი სახელები კი ხშირად დავიწყებისთვისაა განწირული. ასეთი დამოკიდებულება ღვაწლმოსილ წინაპართა ხსოვნისადმი უზნეობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია, რომელიც ქვეყანაში ღრმა სულიერ ღირებულებათა კრიზისზე მიგვითითებს. მართალია, გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პროცესებთან ერთად, საქართველოს ანტიეროვნული პოლიტიკა ებრძვის ყოველივე ეროვნულს, ქართულს, მაგრამ აქვე, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ვის დაუშალა ხელისუფლებამ ღვაწლმოსილ წინაპართა სახელების გახსენება? (მხედველობაში მაქვს ინტელიგენციის ის ნაწილი, ვინც არ არის ხელისუფლების მლიქვნელთა სიაში, მწერლები, მასწავლებლები, ხალხი, გვარი, გამოჩენილ ადამიანთა შთამომავლობა). მკითხველი ვიმედოვნებ სწორად გამიგებს გულისტკივილს. იმ ქართველ ღვაწლმოსილ წინაპართა შორის, რომელთა სახელების დავიწყებაც გამოუსწორებელი ცოდვა იქნება, ერთ-ერთი არის გულო კაიკაციშვილი, რომელსაც თვით ილია ჭავჭავაძემ „აჭარის გული“ უწოდა.

1990 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით საქართველოში დიდი ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა ის სასიამოვნო ფაქტი, რომ აჭარაში ფართოდ აღინიშნა გულო კაიკაციშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი. ეს იყო ღვაწლმოსილი მამულიშვილის საყოველთაო აღიარება და დაფასება. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, მიზეზთა გამო, იგი როგორც ჩანს, დავიწყებას მიეცა, მსგავსი დამოკიდებულების გაგრძელება კი არ უნდა დავუშვათ. ამ საკითხებთან დაკავშირებით მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის გეგმებზე მოგვიანებით ვისაუბრებ.


დიდი მამულიშვილის საფლავთან

გულო კაიკაციშვილი (ვფიქრობ უბრალო დამთხვევა არ უნდა იყოს სახელისა და გვარის ასე შეთანხმება გული და კაიკაცი — აქ თვით ღვთის ნებას ვხედავ) საკმაოდ დიდი პიროვნება იყო საბჭოთა რევოლუციამდელ საქართველოში. მის დროს გამოჩენილ მამულიშვილებთან, ახმედ ხალითაშვილთან, ლომან ქარცივაძესთან, აბდულ მიქელაძესთან და სხვა ქართველი ერის გულშემატკივარ ადამიანებთან ერთად გულო კაიკაციშვილი დაუღალავად იბრძოდა აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის, აჭარის დედა საქართველოსთან დაბრუნებისათვის, იგი ზრუნავდა აჭარის მკვიდრთა ცხოვრების ყოველმხრივი განვითარებისათვის, სულიერ თუ მატერიალურ სფეროში. მისი დროის გამოჩენილი თანამედროვენი, კერძოდ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, მ. გურიელი, ა. უშიკაშვილი. დ. კლდიაშვილი, ი. იმედაშვილი, ჰ. აბაშიძე,

**(დასასრული მე-7 გვერდზე)**

აჭარა P.S. - 2011 წლის 26 ივლისი №19 (615)

გაზეთი არის საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი

# ეს თამადა რა ყოფილა...



ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით. შესვი, გაამოს.
(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

**ყველა ხალხის ყოფაში პურობას და საერთოდ სუფრის კულტურას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. ღვინის ქვეყანაში მცხოვრები ქართველებისათვის კი პური და ღვინო ცხოვრების მთავარი ატრიბუტებია.**

**ქართული სუფრა უძველესი დროიდან მომდინარე ხალხური ფენომენია, რომლის საფუძველი საწესოა და რიტუალურ პირობას უკავშირდება. მისი უმთავრესი კომპონენტია ღვინო, ამიტომაც წარმოუდგენელია ნადიმი ღვინის გარეშე. იგი აზრის გაბრწყინების საშუალებაა. ჩვენმა წინაპრებმა დაგმეს ღვინის გადაჭარბებულად მიღება და ის შეაფასეს, როგორც ყოველი ბოროტებისა და უმსგავსო საქციელის სათავე. სწორედ ამ მიზეზით სუფრას მიუჩინეს თამადა, რომელსაც ქართულ ნადიმში გამორჩეული ადგილი უჭირავს, სუფრის თამადას ანუ ქურუმს ზოგან ტოლუმბაშსაც ეძახიან.**

ქართული თამადობის ინსტიტუტზე ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება, რადგან მისი გენეზისის საკითხები ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მწერალი ლევან სანიკიძე სიტყვა „თამადის" შესატყვისად მიიჩნევდა „ლხინისუფალს". ქართულ ენაში არსებობს თამადის სხვა მონაცვლე ტერმინებიც, მაგ: „პურისუფალი".

ქართული სუფრა ერთ-ერთი ძირძველი ქართული ტრადიციაა და მას ჰყავს წინამძღოლი ანუ თამადა, რომელსაც ევალება ლხინის სუფრაზე სტუმრების მოლხენა, ხოლო ჭირის სუფრაზე მიცვალებულისათვის საკადრისი პატივის მიგება. ლხინის სუფრაზე ძალიან დიდია თამადის როლი, თუ ის საინტერესოდ წაუძღვება სუფრას, ეს დღე სასიამოვნო მოგონებად რჩება მოწვეული სტუმრებისათვის. თამადა უნდა გამოირჩეოდეს ორატორობის უნარითა და მჭევრმეტყველებით. ჩვენს ქალაქში არც თუ ცოტაა თამადობის ნიჭით გამორჩეული ადამიანი, რომელთაც ხშირად სუფრის თავკაცად ირჩევენ. ასეთთა შორისაა, ბათუმელთათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის კარგად ცნობილი პიროვნება, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი, ბატონი ოთარ შამილიშვილი, კაცი ენაწყლიანი, იუმორით სავსე, პოეზიის დიდი მოტრფიალე. სუფრის გაძღოლა მისი სტიქიაა, და აქაც ისე ლაღად და ბუნებრივად გრძნობს თავს, როგორც ლექციაზე.

ჩვენი ახალი რუბრიკის პირველ სტუმრად სწორედ ბატონი ოთარი შევარჩიეთ და რედაქციაში მოვიწვიეთ, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

**— ბატონო ოთარ, თქვენს თამადობაზე მეც მსმენია და ერთხელ შემთხვევით გიხილეთ ერთი ჩემი მეგობრის ქალიშვილის ქორწილში, ხომ ვერ მოგვიყვებით, როდის დაიწყო თქვენი „სათამადო კარიერა"?**

— ახლავე მოგახსენებთ. ქალაქ ქობულეთში, ბიძაჩემის, ჯემალ შამილიშვილის ოჯახში რამდენჯერმე ვიყავი სუფრაზე, რომელსაც თამადობას უწევდა მისი მეზობელი, ასლან (ხაშარა) გოგიტიძე. იგი ყოველი სადღეგრძელოს წარმოთქმისას მოხდენილად იყენებდა ქართული მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის ნიმუშებს, რითაც სუფრას ალამაზებდა და სტუმართა კეთილგანწყობას ქმნიდა.

**— სხვა თამადებზეც ხომ არ გსმენიათ?**

— წამიკითხავს, რომ ქართველებს ჰყოლიათ და ჰყავთ ღირსეული თამადები: არიან გულბაათ ჭავჭავაძე, შალვა დადიანი, მემედ და დოდო აბაშიძეები, ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, როინ მეტრეველი, ანზორ შარაშენიძე, ამირან დავითაძე და ჩვენი თანაქალაქელი, უბადლო თამადა და თამადობაზე საკმაო ლიტერატურის ავტორი ჯონი ბარამიძე, ასევე რეგიონში პირველი სერტიფიცირებული თამადა, პედაგოგი თემურ თურმანიძე. შესანიშნავად უძღვებოდნენ სუფრას აწგანსვენებულები ანზორ შაქარიშვილი, კოსტა წულაძე და სხვები. ძალიან დავინტერესდი და შესაბამის ლიტერატურაში გავეცანი ქართულ სადღეგრძელოებს.

**— ბატონო ოთარ, თქვენ ხშირად იყენებთ სიტყვა „თამადის" სინონიმებს: სუფრის ქურუმს, ღვინის სმის თავკაცს, სუფრის მეუფეს, სუფრის რეჟისორს, ტოლუმბაშს და სხვა. ერთ-ერთ ქორწილში, როგორც გავიგე, თქვენ სიტყვა „თუმაჯობა" იხმარეთ და თანამესუფრეს უთხარით, რომ ის იქნებოდა სუფრის თუმაჯი. ხომ არ განგვიმარტავთ, რას ნიშნავს ეს სიტყვა?**

— თუმაჯი თამადის სინონიმია. სიტყვა „თამადა" 1887 წელს დაიბადა საქართველოში და უთარგმნელად გავრცელდა მეზობელ ხალხთა ენებში. მანამდე საქართველოში სიტყვა „თუმაჯს" იყენებდნენ, რაც სუფრის თავკაცობას ნიშნავს. მგონი არ უნდა ჩამეთვალოს დანაშაულად, შიდაგაშიგ ამ ლამაზ ქართულ სიტყვასაც თუ ჩავურთავ.

**— ხშირად გიწევთ თამადობა?**

— ჩემმა მეგობრებმა, მეზობლებმა და სანათესაომ იციან ჩემი გატაცების ამბავი და შემთხვევას ხელიდან არ უშვებენ, რომ არ მთხოვონ სუფრის ხელმძღვანელობა, ზოგჯერ რამდენიმე დღით ან ერთი კვირითაც კი. ამ ცოტა ხნის წინათ, უნივერსიტეტში, მომაკითხა სამედიცინო ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტის (ერთხანს სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი ვიყავი), მაკა ჯორბენაძის მამამ, ლევან ჯორბენაძემ და მითხრა, ჩემს ქალიშვილს ვათხოვებ და ქორწილზე უნდა მითამადოო. რა თქმა უნდა, უარი ვერ ვუთხარი. ერთხელ ჩემმა შვილმა თემურმა მთხოვა, ჩემს მეგობარს თემურ ბეჟანიძეს ვაჟიშვილის ქორწილი აქვს და თამადად შენ ამოგირჩიაო. რას ვიზამდი, მასაც დავთანხმდი. მერე გავიგე, მასპინძლები ჩემი თამადობით კმაყოფილნი დარჩენილან.

**— აი, სტუმრებზე რას იტყოდით, მათაც მოსწონთ თქვენი თამადობა?**

— აბა, რა გითხრათ. თამადას სუფრის დასაწყისში ირჩევენ, ყველაზე ბოლოს კი დალოცავენ და ადღეგრძელებენ. ერთხელ ქორწილის სუფრის დასრულების შემდეგ ერთი ჩემი მეზობელი, ზია ჩელებაძე მომიახლოვდა და მითხრა, დიდად ვისიამოვნე თქვენი თამადობით, კარგი იქნება, ჩემს ქელეხსაც შენ თუ უთამადებო. მე კი ხუმრობით ვუპასუხე, მე შენზე ადრე რომ წავიდე ამქვეყნიდან, შენ შეძლებ უთამადო ჩემს ქელეხს-მეთქი? ჩვენს საუბარს თანამოსუფრენი მხიარული სიცილით გამოეხმაურნენ.

ერთხელ, ჩვენი კუთხის ღირსეულ მოქალაქეს, თვალსაჩინო მეცნიერს ვანო პაპუნიძეს დიდი სუფრა ჰქონდა მეცნიერებაში თავისი წარმატების აღსანიშნავად. სუფრის თამადა იყო უნივერსიტეტის პროფესორი იური ბიბილეიშვილი, ხოლო თანამოსუფრენი, აჭარაში დასაქმებული პედაგოგები, ლექტორები. მეც ვადღეგრძელე ბატონი ვანო. სადღეგრძელოში გამოვიყენე პოეტ შოთა ზოიძის ლექსი, თანამოსუფრეებმა ტაშით დამაჯილდოვეს. მეორე დღეს მხვდება ბატონი ვანო უნივერსიტეტის ეზოში, მადლობას მიხდის და მეუბნება, თქვენი მშვენიერი სადღეგრძელო ყველაზე უფრო შთამბეჭდავი იყოო. ბატონი ვანოს სუფრას ესწრებოდა ბატონი მაილო ჯაში. ორი-სამი დღის შემდეგ იგი ჩემთან სტუმრად მოდის უნივერსიტეტში, ალბათ ვინმე სტუდენტისთვის საპროტექციოდ არის მოსული-თქვა, გავიფიქრე ჩემთვის, თურმე სხვა მიზნით. თქვენ რომ გუშინ სადღეგრძელოები თქვით, ძალიან მომეწონა და სად შეიძლება წავიკითხოო, მეუბნება იგი. მე მას გავუწოდე ჩემი ბლოკნოტი, რომელშიც სხვადასხვა ლიტერატურიდან მქონდა ამონაწერები. ერთი კვირით მათხოვეო, მითხრა მან. აბა, უარს როგორ ვეტყოდი.

რამდენიმე წლის წინათ უნივერსიტეტის კადრების განყოფილების გამგის, ზაზა დიასამიძის ქორწილში ვიყავი მიწვეული პირველ თამადად. რაზეც ზაზას მამამ, პროფესორმა ანზორ დიასამიძემ ერთი კვირით ადრე გამაფრთხილა. ჰოდა, ვარ ქორწილში, სადაც ყოველი სადღეგრძელოს წარმოთქმისას ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებს უხვად ვიყენებ, ქორწილი დამთავრდა და მეც დამლოცეს, მეორე დღეს უნივერსიტეტის დერეფანში პროფესორი მამია ფაღავა მხვდება და ხუმრობით მეუბნება, შენ იმდენი ლექსი გცოდნია, ქართულის კათედრაზე მუშაობას უფრო დაიმშვენებდი, ვიდრე ქიმიისაზეო. ამიტომ თუ შენი სურვილი იქნება, ჩემთან გადმოგიყვანო. ამაზე ორივემ გულიანად ვიცინეთ.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქობულეთის რაიონის სოფელ კოხში ვთამადობდი ჩემი სიძის, ზურაბ ბეჟანიძის ოჯახში პატარა ქორწილს. დედოფალი თბილისელი გოგონა იყო და მას თბილისელი მაყრები ახლდა. ყველა სადღეგრძელოს ლექსით ვამთავრებდი. ტრაპეზიის შუა პერიოდში მაყრებიდან ერთი ქალბატონი მომიახლოვდა და მეკითხება: თქვენ, ბატონო ოთარ, პროფესორი ბრძანებულხართ, ალბათ ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლით, არა? როცა ვუთხარი, პროფესორი კი ვარ, მაგრამ ქიმიას ვასწავლი მეთქი, გაოცება ვერ დაფარა. ერთხელ სოფელ ალამბარში ნოდარ შამილაძის ოჯახში ვთამადობ მრავალსულიან ქორწილს. დავიწყე სადღეგრძელოების თქმა, მოულოდნელად ჩემთან მოდის სიძის დედა და მეუბნება, დიდად გვასიამოვნებ, რძალ-დედამთილის ლექსს თუ გვეტყვიო, მე მისი თხოვნა შევასრულე და დარბაზიც გახალისდა. ერთ დღეს ჩემი ვაჟი თემური მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ქობულეთში, ქორწილზე თქვენ მიერ წარმოთქმული მშვიდობის სადღეგრძელო ჩემი მეგობრის მამას ძლიერ მოსწონებია და მინდა მას მივუტანო ეს ლექსიო.

**— ბატონო ოთარ, კიდევ რაიმე საინტერესო ხომ არ გაგონდებათ თქვენი თამადობიდან?**

— მქონდა ასეთი შემთხვევა. შევდივარ უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ ამირან კახიძესთან და ვთხოვ ავტობუსს ჩაქვისთავში სასმელი წყლის გამწმენდ სადგურში სტუდენტების პრაქტიკაზე წასაყვანად. მან ხუმრობით მითხრა, იმ შემთხვევაში გათხოვებთ, თან თუ წამიყვანთ და დამასწრებთ ბათუმში მოწოდებულ სასმელი წყლის გაწმენდასო. მე სიხარულით დავეთანხმე. მეორე დილით გავემგზავრეთ. თან გაგვყვა უნივერსიტეტის პროფკავშირის თავმჯდომარე, თემურ მჭედლიძე. წყალგამწმენდი ნაგებობის გაცნობის შემდეგ პურ-მარილი გავშალეთ ჩაქვის წყლის ნაპირზე, მე ვანიშნე ბატონ თემურს თამადად რექტორი დაენიშნა, რაზედაც ამ უკანასკნელმა ასე უპასუხა: „ხომ არ შეიშალე, ბატონი ოთარი სადაცაა, იქ მე როგორ ვითამადებო". ამაზე ბევრი ვიცინეთ. მეორე, რისი მოგონებაც სიამოვნებას მგვრის, ესაა თამადობა ჩემი ბიძაშვილის, ომარ მესხიძის ოჯახში, რომელიც ქალიშვილს ათხოვებდა. ნეფე-დედოფალი უნივერსიტეტის გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტები იყვნენ. ქორწილს ესწრებოდნენ უნივერსიტეტის გერმანული ენისა და ლიტერატურის პროფესორ-მასწავლებლები, ბატონ ანზორ აბუსელიძის თავკაცობით. დავლოცე ნეფე-დედოფალი ლამაზი სიტყვებით და ვუთხარი, რომ გაუფრთხილდნენ და მარად უყვარდეთ ერთმანეთი. შევახსენე გერმანული ანდაზა: „გლიუქ უნდ გლას — ვიი ლაიხტ ბრიუხტ დას" („მინა და ბედნიერება როგორ ადვილად იმსხვრევიან").

ქართულად გადათარგმნა ვერ მოვასწარი, რომ დარბაზში მოხდა სასწაული, სუფრიდან გიჟურად წამოვარდა ზორბა ტანის, მაღალი მამაკაცი და თვალგაშტერებით დამიწყო ყურება. გაოცებული თანამოსუფრენი დაამშვიდა ბატონმა ანზორ აბუსელიძემ, რომელმაც განაცხადა: ეს კაცი გერმანელი პროფესორია და როცა გაიგონა ქართულ ქორწილში გერმანული სიტყვები, ძალიან გაუხარდა და ამიტომ წამოდგა აღელვებულიო. (როგორც შემდგომში გავიგე, ეს კაცი გერმანიიდან მოწვეული პროფესორი ფოლკერ ლუდკე გერმანიის ქალაქ ჰამბურგიდან ყოფილა, რომელიც ბოლქვაძეების სიძე გამხდარა, სამწუხაროდ, ვაჟი გარდაიცვალა ერთი წლის წინ). ამის შემდეგ გერმანელ პროფესორს ალავერდობა ვთხოვე და ანდაზაც დამსწრეთ ვუთარგმნე. მერე მან მშვენიერი ქართულით წარმოთქვა სადღეგრძელო.

ერთხელაც ვთამადობ ჩემი მეუღლის ბიძაშვილის თამაზ რომანაძის ქალიშვილის, ეკას ქორწილს. მაშინ დედოფალი თბილისში, ფარმაცევტული სპეციალობის სტუდენტი იყო. მის ქორწილს ესწრებოდნენ თანაკურსელები და ორი ლექტორი. დედოფლის მეჯვარე იყო ერთი თანაკურსელი, ლამაზი გოგონა. სანამ მეჯვარეებს დავლოცავდი, ჩემთან მოვიხმე ეკას მეჯვარე და წავუკუთხე ლექსი:

**„ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს, დედოფალო შენცაო,**
**თქვენ გვერდით რომ ქალი გიზით, თვალი უგავს მზესაო,**
**ცოტა ხნით კარში გამომყვეს თუკი შეიძლებსაო.**
**დედოფლისა მდადიანო, შენთან წოლა მწადიანო,**
**შენს დაგებულ ლოგინზედა თამაშობა მწადიანო".**

მერე ვკითხე, ხომ არ გამიბრაზდები, შენს სადღეგრძელოში ეს ლექსი რომ ჩავრთო-მეთქი? კარგია, ხალხი გამხიარულდებაო, — მიპასუხა მეჯვარემ. სადღეგრძელოს მსვლელობისას მეჯვარეს ვუთხარი, თქვენზე წასაკითხად ერთმა ბიჭმა წერილი გადმომცა და თუ დამრთავთ ნებას, წავიკითხავ-მეთქი. მე რა თქმა უნდა, უკვე მასთან შეთანხმებული ვიყავი და როცა ამ ლექსს ვკითხულობდი ხმამაღლა, ხალხის გასაგონად, ჩემი მეუღლის ბიძაშვილისშვილს ვაჟიკო რომანაძეს ვუყურებდი, რომელიც მაშინ უცოლო იყო. „მე ნუ მიყურებ, ეს წერილი მე არ დამიწერიაო", გამომეპასუხა ის. „ჰოდა, რომ არ დაგიწერია, იმიტომ ხარ უცოლო, ამაზე უკეთესი გოგო სად უნდა იპოვო-მეთქი" - გავძახე მას.

მეორე თუ მესამე დღეს ჩემთან მოდის თამაზ რომანაძე და ჩემს მეუღლეს ეუბნება: ოთარიმ ყველა სადღეგრძელო კარგი ლექსით დაამშვენა და ეს ერთი უხამსი ლექსი საიდან მოიტანაო. მე ამ დროს ოჯახის ბიბლიოთეკაში ვიყავი შესული, მათი საუბარი გავიგონე, ავიღე ქართული ხალხური პოეზიის მეხუთე ტომი, შევუტანე თამაზს ოთახში და ვუთხარი: აი, ძმაო, გადაშალე 265-ე გვერდზე და აქვე ნახავ, მანაც გადაშალა წიგნი და თქვა, ასეთ კარგ წიგნში ეს რა უზრდელური ლექსი შეუტანიათო.

**— თქვენი თამადობის დროს, ამბობენ, დარბაზში სიწყნარეაო, მაინც როგორ ახერხებთ ხალხმრავალ ქორწილებში წესრიგის დაცვას?**

— ძალიან ადვილად. თუ სადღეგრძელოს მთქმელი საინტერესოდ ამბობს სადღეგრძელოს, მას ხალხი უსმენს.

**— სწორია ის, რომ თქვენი თამადობის დროს ქალებიც ეძალებიან ღვინოს? —**

— ტრაპეზის დასაწყისში ერთ-ერთ დაფასებულ ქალბატონს ვთხოვ ქალთა თამადობას. და იგი ახერხებს ზოგიერთი მანდილოსნის აყოლიებას. ერთ-ორჯერ მე ვთხოვ, ბოლოს ვითომ გაბრაზებით, ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო, — ვიშველიებ რუსთაველის აფორიზმს და თუ ამის შემდეგაც არ გაჭრა, იუმორით წყევლას მივმართავ: ვინც არ დალევს, ღმერთო, გასათხოვარი არ გაათხოვო და გათხოვილი ქმართან არ დააწვინო-მეთქი. ვხედავ, ყველა ქალი „დოკაპლია" ცლის სასმისს.

ერთხელ სოფელში ვარ და ძალიან მაღალ თხემლის ხეზე ყურძენს ვკრეფ. ჯიბეში მობილურის ზარის ხმა გაისმა. ვიღებ ტელეფონს და ვისმენ: ზურაბი ვარ თედორაძე, სად ხარო. მე ვპასუხობ. ის მეუბნება: „ღმერთმა მშვიდობით ჩამოგიყვანოს მაგ ხიდან და იცოდე, ხვალ 4 საათზე გეპატიჟები ჩემი სიძის, მერაბ ჩხაიძის ოჯახში თამადად. და არ დამაღალატიანოო. დათქმულ დროზე შევაღე მერაბ ჩხაიძის სახლის კარები და ვხედავ, მაგიდასთან სხედან ბათუმის პირველი და რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმები, ქალებიც და მამაკაცებიც. შესვლისთანავე თამადად ამირჩიეს. ყველაფერი ნორმალურად აეწყო, მაგრამ აქაც დამჭირდა წყევლის მოშველიება, ქალბატონებს რომ დაელიათ.

ქორწილიდან ერთი თვის შემდეგ მოულოდნელად ავად გავხდი. მივედი საავადმყოფოში ბატონ მერაბთან, როცა ქალბატონმა ექიმებმა დამინახეს, რა თქმა უნდა, მიცნეს და ხუმრობით, ყველას გასაგონად ჩაილაპარაკეს, ამ კაცმა იმდენი გვწყევლა, აი, ხომ ხედავთ, თვითონ გახდა ავად, სწორი ყოფილა, წყევლა მაწყევარსო"... ამ ხუმრობაზე მეც ცოტათი მოვმჯობინდი.

ვთამადობ ჩემი ქვისლის, ჯამბულ მაკარაძის ოჯახში ნათლობის სუფრას. ყველა სადღეგრძელო წარმოვთქვი, რაც საჭიროდ ჩავთვალე. თანამესუფრეებმა ბოლოს მადლობა გადამიხადეს. რამდენიმე დღის შემდეგ ეზოში მხვდება ჩემი ქვისლის მეზობელი, ექიმი ქალბატონი, ეთერ სურმანიძე-პატარიძისა და მეუბნება: ბატონო ოთარ, თქვენ რომ ნათლობის სადღეგრძელო წარმოთქვით არქიმანდრიტი შიოს ლექსით, გადავწყვიტე, მეც მოვინათლო ქრისტიანულადო.

აი, როგორი გავლენა მოახდინა ჩემმა სადღეგრძელომ. აჭარელი ქალი შეგნებულად იღებს გადაწყვეტილებას თავის პირვანდელ სარწმუნოებას, მართლმადიდებელ ქრისტიანობას დაუბრუნდეს, უმრავლოს ღმერთმა ჩვენს კუთხეს, ეთერისნაირი ქალბატონები.

**— ღმერთმა გისმინოთ. ბატონო ოთარ! ემრავლოს საქართველოში ქორწილებსა და ნათლობებს და გისურვებთ კვლავაც ბევრჯერ გეთამადოთ.**

**ანა დადუნაშვილი**

# საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი

№7, ივლისი, 2011 წელი

არასამთავრობო გაერთიანება „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის“ გამოცემა


# გიფიქრიათ, როგორ ვიცავთ გარემოს?!

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება №20

2006 წლის 5 მაისი

**საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამორეცხვისაგან დამცავი კომპლექსური ღონისძიებების შემუშავების შესახებ**

შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინტენსიურ გამორეცხვას ხელი შუწყო იმ ანთროპოგენურმა პროცესებმა, რაც უკანასკნელ წლებში ინტენსიურად წარიმართა როგორც მდინარეთა კალაპოტებში, ასევე უშუალოდ პლაჟებზე. პლაჟების ზოლის ზღვის მიერ მიტაცების შედეგად, უდიდესი ზიანი მიადგება როგორც აქ არსებულ კურორტებს, ასევე საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობას, რეკრეაციულ ზონებს, ასევე ზღვისპირა ზოლში განლაგებულ კომუნიკაციებს.

ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედება ძირითადად გამოიხატება შავი ზღვის აუზის მდინარეებიდან ინერტული მასალის ამოღებით და ამ მდინარეებზე წყალსაცავი ჰიდროკვანძების მშენებლობით. ეს კი იწვევს ზღვაში შესატანი მყარი ინერტული მასალის მოცულობის მკვეთრ შემცირებას და წლების განმავლობაში სტაბილური სანაპირო ზოლის მყარი მასალით მომარაგების ბალანსის დარღვევას.

მიმდინარე წლის 28 აპრილს საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების თხოვნით შედგა იუნესკოს ადამიანის და ბიოსფეროს საქართველოს კომიტეტის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წყლის რესურსების მუდმივმოქმედი კომისიის გაერთიანებული სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს ზემოაღნიშნული კომიტეტისა და კომისიის წევრებმა, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო, საპროექტო, სამშენებლო და საექსპლუატაციო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

სხდომაზე გამომსვლელთა უმრავლესობამ გამოთქვა დასაბუთებული შეშფოთება ბოლო პერიოდში საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოლში განვითარებულ პროცესებსა და იქ შექმნილი მდგომარეობის ირგვლივ.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს მდინარე ჭოროხსა და მის შენაკადებზე, თურქეთის მიერ განხორციელებულ წყალსაცავიან ჰიდროკვანძების კასკადის მშენებლობის უარყოფით ზეგავლენაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარე ზღვის სანაპირო ზოლის ფორმირების პროცესებზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმმა იმსჯელა დასმულ საკითხებთან დაკავშირებით და ადგენს:

**1. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას:**

ა) კატეგორიულად აკრძალოს შავი ზღვის აუზის მდინარეებიდან ინეტრული მასალის უკონტროლო და უნებართვო ამოღების შემთხვევები;

ბ) დაავალოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დაუშვებელი სიდიდის, ზენორმატიული გამორეცხვის ცალკეული უბნის დროულად გამოსავლენად და პროცესების შესაჩერებლად მიიღოს ოპერატიული ზომები, რისთვისაც სამინისტროსთან შექმნას შავი ზღვის სანაპირო ზოლის მონიტორინგის მობილური ჯგუფი;

გ) დაავალოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შექმნას სპეციალური საექსპორტო საბჭო ან საექსპორტო საბჭოს სექცია (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სპეციალისტების მონაწილეობით), რომელიც განიხილავს შავი ზღვის ნაპირების დაცვის მეცნიერულად და ეკონომიკურად დასაბუთებულ საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციას და შეაფასებს ცალკეული უბნის გამორეცხვისაგან დასაცავად სხვადასხვა საპროექტიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ მასალებს;

დ) დაავალოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს გაატარონ ქმედითი ღონისძიებები, რათა არ იქნას დაშვებული შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლში ზენორმატიული გამორეცხვები, რის შესახებაც დროულად აცნობონ მთავრობას;

ე) შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლის გამორეცხვისაგან დაცვის სრული და მრავალმხრივი განხილვის და აღნიშნულ პრობლემაზე არსებული სამეცნიერო გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბაზაზე 2007 წლის შემოდგომაზე იუნესკოს ეგიდით და დაფინანსებით სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტების მონაწილეობით მოაწყოს საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „საქართველოს შავიზღვისპირეთის ნაპირის დაცვა“.

**2) ეთხოვოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:**

ა) დაავალოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს საერთაშორისო მოქმედი ნორმების შესაბამისად დაადგინოს თურქეთის მიერ მდინარე ჭოროხზე აშენებული და მშენებარე ჰიდროკვანძების მიერ მიყენებული ზარალის კომპენსაციის მოთხოვნის იურიდიული საფუძველი;

ბ) დაავალოს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტსა და ეკონომიკის ინსტიტუტს ჩატარებული ძიების საფუძველზე მიმდინარე წლის ბოლომდე განსაზღვრონ ეკონომიკური ზარალი, რომელიც საქართველოს ადგება თურქეთის ტერიტორიაზე მდინარე ჭოროხსა და მის შენაკადებზე აშენებული და მშენებარე ჰიდროკასკადის ზეგავლენით.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი**
**აკადემიკოსი თ. გამყრელიძე**

**საქართველოს მეცნიერებათა ერვნული აკადემიის**
**აკადემიკოს-მდივანი**
**აკადემიკოსი ო. ნათიშვილი.**

## გარემოს დაცვასთან ზერელე მიდგომის შედეგები სახეზეა

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ კომუნისტური მმართველობის მსგავსად დღევანდელმა ხელისუფლებამ ოპერატიული რეაგირება მოახდინოს იმ კრიტიკულ მასალებზე, რომელიც გაზეთებში იბეჭდება, მაგრამ როცა პრესაში ქვეყნდება მასალები, რომელიც გარემოსადმი არასწორი მიდგომის ფაქტებზე მეტყველებს, ყოველივე ეს ხელისუფლების მხრიდან რეაგირების ღირსი თუ არა, ელემენტარულად ინფორმაციის წყაროდ მაინც უნდა ჩაითვალოს. საჯარო ინფორმაცია თუ სიმართლეს მოკლებულია, მაშინ მის ავტორს მაინც უნდა მოეკითხოს თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში მსგავსი რამ არ გაიმეოროს.

ამჯერად საქმე ჭოროხის დელტიდან ინერტული მასალების უკანონო ამოღებას შეეხება, რომლის თაობაზე წერილები და ფოტობრალდებები ბოლო პერიოდში გამოქვეყნდა. საუბარი იყო იმ უხეშ დარღვევებზე, რომელიც ვერანაირ კანონმდებლობაში ვერ ჯდებოდა. საუბარი იყო ასევე გარემოს დამცველთა ორმაგი სტანდარტის შესახებ. ჩვენ სახელისუფლებო სტრუქტურების არასწორ პოზიციას ვამხელდით, კერძოდ აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს იმ განყოფილების პოზიციას, რომელიც ჭოროხიდან ინერტული მასალების ამოღების თაობაზე გაცემული ლიცენზიების რეგისტრაციას აწარმოებს. სწორედ ისინი ამტკიცებენ, რომ კანონი მდინარიდან ინერტული მასალის ამოღებას არ ზღუდავს. ეს პოზიცია არასწორია, რომ თითქოსდა ასეთი კანონი არ არსებობს. საპირისპიროდ ვერ ამტკიცებენ, რომ ამას კანონმდებლობა არ კრძალავს.

ჩვენ, სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლებს, მათ შორის გარემოს დამცველებს, შევახსენებდით, რომ მდინარეებიდან, კერძოდ ჭოროხიდან ინერტული მასალების ამოღება კანონმდებლობით ნებადართულია მაშინ თუ ამოღებული ინერტული მასალა მოცემული მდინარის ნაპირსამაგრი საშუალების განხორციელებას ხმარდება, ან ზღვის სანაპიროს ფორმირებისათვის ვიყენებთ. ხელისუფლებას შევახსენებთ, რომ ჩვენ ვერ გვანახებენ ისეთ კანონსა თუ საკანონმდებლო აქტს, რომელიც მდინარიდან ამოღებული ინერტული მასალის მშენებლობისათვის გამოყენების უფლებას იძლეოდეს.

ხელისუფლების ყურადღებას კონკრეტული მაგალითებისაკენ მივანიშნებდით და მოვითხოვდით განემარტათ ადლია-აეროპორტის შემოვლითი გზის მშენებლობის დროს და ბევრ სხვა მშენებლობაზე რატომ გამოიყენება ჭოროხის შესართავთან ამოღებული ასობით ათასი კუბური მეტრი ინერტული მასალა... ამასთან ხელისუფლებას იმასაც შევახსენებდით, რომ ეს ფაქტები რატომ ხდება იმ დროს, როცა თურქეთში დერინერის კასაკადის მშენებლობის შემდეგ ჭოროხის ნატანი 90 პროცენტით შემცირდა, ხოლო ჭოროხიდან ინერტული მასალის ამოღებაზე ზედამხედველობა კერძო პირებზე ვრცელდება და არა იმ ფირმებზე, რომლებიც ხელისუფლების მიერ პრივილიგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

საზოგადოებას პრესის საშუალებით ის ფოტომასალები მივაწოდეთ, რომელიც ჭოროხიდან ამოღებულ-დასაწყობებულ ასეულ ათასობით კუბურ მეტრ ინერტულ მასალებზე ფოტომტკიცებას წარმოადგენდა. გარემოს დამცველები და სხვა სამსახური არ დაინტერესებულა. ამის შემდეგ დავინტერესდით, თუ როგორი იყო მეცნიერთა ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება.

ჩვენს მიერ დაგეგმილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მზადების პროცესში მასალების მოძიების დროს აღმოვაჩინეთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 2006 წლის 5 მაისის №20 დადგენილება „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამორეცხვისაგან დამცავი კომპლექსური ღონისძიებების შემუშავების შესახებ“. ხსენებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ შავი ზღვის სანაპიროს ინტენსიურ გარემოცვას ხელი შეუწყო იმ ანთროპოგენურმა პროცესებმა, რაც უკანასკნელ წლებში ინტენსიურად წარიმართა, როგორც მდინარეთა კალაპოტებში, ასევე პლაჟებზე. პლაჟების ზოლის ზღვის მიერ მიტაცების შედეგად მომავალში უდიდესი ზიანი მიადგება როგორც ზღვის სანაპიროს, ასევე საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობას, კურორტებსა და ზრვისპირეთში განლაგებულ კომუნიკაციებს.

დადგენილებაში ამასთან ნათქვამია, რომ ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედება ძირითადად გამოხატა შავი ზღვის აუზის მდინარეებიდან ინერტული მასალების ამოღებით და ამ მდინარეებზე წყალსაცავი ჰიდროკვანძების მშენებლობით. ეს კი ზღვაში მყარი ინერტული მასალის მოცულობის შემცირებას იწვევს და წლების განმავლობაში სტაბილური სანაპირო ზოლის მასალის მყარი მასალით მომარაგების ბალანსის დარღვევას.

დადგენილებაში განსაკუთრებული შეშფოთებაა გამოთქმული მდინარე ჭოროხიდან და მის შენაკადებზე თურქეთის მიერ განხორციელებულ წყალსაცავიანი ჰიდროკვანძების კასკადის მშენებლობის უარყოფით ზეგავლენაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტროორიაზე ზღვის სანაპირო ზოლის ფორმირების პროცესზე.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის ზემოთხსენებული დადგენილების შესრულებაზე არავის უფიქრია, შემდგომ გაუქმებული აღმოჩნდა ის სამეცნიერო დაწესებულებები, ვისაც დადგენილებით საკითხის ირგვლივ დამატებით მასალების თავმოყრა, დასკვნები და რეკომენდაციები უნდა შეემუშავებინათ. როგორც ჩანს გარემოს დამცველებისათვის მეცნიერთა აზრსა და ამ საკითხისადმი საზოგადიების დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია მათი პოზიცია ხელმძღვანელობამ მოიწონოს.

დაბოლოს, ჩვენი მკითხველის ინტერესსაც დავაკმაყოფილებ და ვაცნობებ, რომ ჩვენს მიერ დაგეგმილი და ფაქტობრივაად მომზადებული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც აჭარაში გარემოს დაცვის, ეკოლოგიურ პრობლემებს მიეძღვნება, ა/წ ოქტომბრისათვის გაიმართება. დასამალი არაფერი გვაქვს, მისი გადადების მიზეზი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ობიექტური მასალების გამოქვეყნებისა და რეალური ვითარების საჯაროობის შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ, რომ ჩვენ ტურისტებისა და დამსვენებელთა მოზიდვაში ხელის შემშლელად მოგვნათლონ. ვერაფრით ვერ გავიზიარებთ ყალბ მოსაზრებას, რომ იმ დროს, როცა ბათუმსა და ქობულეთში ნახმარი წყლებისა და კალნალიზაციის გამწმენდი ნაგებობები არ არსებობს, შავი ზღვის სისუფთავეზე ლაპარაკი და მისი უვნებლობის მტკიცება უბრალოდ უხერხულია.

იმედია, ეს ნაგებობებიც უახლოეს წლებში დამთავრდება და უდიდესი პრობლემაც მოიხსნება.

**თამაზ ცინცაძე,**
საზოგადოებრივი ექსპერტი

## ფოტობრალდება



ხშირია ისეთი დღეები, როცა გონიოს ძველ ხიდზე მოწყობილი ჩასასვლელიდან მდინარის დელტის გასაძარცვავად არა თითო ოროლა, არამედ ათეულობით დიდტონაჟიანი ავტოტრანსპორტი მუშაობს!..



ვინც გონიოს ძველი, ამორტიზებულ ხიდზე მძიმეწონიანი მანქანებით მოძრაობს ჭოროხიდან უკანონო ნადავლის გამოსატანად, მდინარის დელტის ძარცვასთან ერთად ისიც უნდა იცოდეს, თუ რა დიდ რისკზე მიდის...

სხვადასხვა

აჭარა P.S. - 2011 წლის 26 ივლისი №19 (615)

გაზეთი არის საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი

# რაც დავიწყებით არ იბინდება...

(დასასრული)




ზ. ჭიჭინაძე, ე. თაყაიშვილი და სხვები, რომლებიც პირადად იცნობდნენ გულოს, მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის მოღვაწეობას. პროფესორ აბელ სურგულაძის გადმოცემით („გულო კაიკაციშვილი" თბილისი, 1973 წ. გვ. 6) სულეიმან კაიკაციშვილთან საუბარში აკაკი წერეთელი ყველა ქობულეთელს გულოს „კვალზე სიარულს" ურჩევდა, „ჭკვიანი კაცი გამოხვალთ, ნამდვილი ქართველი იქნებითო". ვფიქრობ დიდი მგოსნის დარიგება, ვიაროთ ბატონ გულოს კვალზე, ყოველი ქართველისათვის აუცილებელია, განსაკუთრებით დღეს.

გულო კაიკაციშვილი დაიბადა 1840 წლის 6 ივნისს.

გ. კაიკაციშვილს ოჯახის თანადგომით ბავშვობაში საკმაო განათლება მიუღია. კარგად ფლობდა მშობლიურ ქართულსა და არაბულ ენას. დამოუკიდებელი ცხოვრების გზა გ. კაიკაციშვილმა პირველად ვაჭრობით სცადა, მაგრამ მალე მიატოვა, შემდეგ არმიაში სცადა ბედი. თუმცა აქაც წარუმატებლად. ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო მალე მიატოვა, კანცელარიაში მოეწყო.

1860-იანი წლების დასასრულს, გ. კაიკაციშვილი გაეცნო და დაუმეგობრდა ქ. ბათუმში მცხოვრებ კათოლიკე ლუკა მჭედლიშვილის ოჯახს. მჭედლიშვილმა, როგორც საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის კარგად მცოდნემ, პატრიოტმა, მომავალში დიდი როლი შეასრულა გ. კაიკაციშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

გულო კაიკაციშვილი, მაშინდელ საქართველოში ერთადერთი ქართული გაზეთის „დროების" გაცნობის შემდეგ აღნიშნავდა, რომ „იმ დღიდან გავხდი ქართული წიგნების შეგნებული მკითხველი"... (ა. სურგუილაძე. გულო კაიკაციშვილი, თბილისი, 1973 წ. გვ. 8). ამის შემდეგ, 1870-იანი წლებიდან გულო კაიკაციშვილი იწყებს აქტიურ ეროვნულ მოღვაწეობას. იგი ქობულეთში და მთლიანად აჭარაში გვევლინება აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების ერთ-ერთ იდეოლოგად და მეთაურად.

1870-იან წლებში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ქობულეთში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. გულო კაიკაციშვილი აჯანყებულთა საბჭოს წევრი იყო. გულო კაიკაციშვილი ქობულეთიდან თბილისში გაზეთ „დროებას" აწვდიდა წერილობით მასალებს და ამცნობდა აჭარის მოსახლეობის მდგომარეობას, მათ განწყობასა და ბრძოლის სურვილს, ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ.

გულო კაიკაციშვილის თანამშრომლობამ დედაქალაქთან, მოწინავე ქართველ საზოგადოებაში დიდი იმედი გააჩინა აჭარის ოსმალთაგან გამოხსნისა და დედასაქართველოსთან დასაბრუნებისა... დადგა ნანატრი დღე.

1878 წლის 17 აგვისტოს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა დანარჩენ საქართველოსთან ერთად რუსეთის იმპერიას გადაეცა. ამ დღეს აჭარაში, ჩოლოქის სასაზღვრო პუნქტიდან რუსთა და ქართველთა გაერთიანებული მხედრობა უნდა შემოსულიყო.

ადგილობრივ მკვიდრთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ კარგად ვერ გარკვეულიყო, ოსმალთა არაერთი პროვოკატორი მოსახლეობაში უიმედობასა და ახალი მთავრობისადმი უნდობლობას თესავდა. მოსახლეობა დაბნეულობას მიეცა. ყველას ერთი აზრი აწუხებდა: დამხვდურთ — „როგორ მოვლენ!" და მაშინ წინ წარსდგა გულო კაიკაციშვილი და სიტყვით მიმართა რუსთა მოწინავე რაზმს — ქართველთა მხედრობას. „ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ ჩვენი ძველი ძმები აქ ქობულეთში დაგინახათ... ვმადლობ ღმერთს და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა... მაშ გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას და თამარ მეფის დროის საქართველოს აღდგენას და გაძლიერებას." (აბელ სურგულაძე. გულო კაიკაციშვილი, თბილისი, 1973 წ. გვ. 3).

გულო კაიკაციშვილის წარმოთქმულმა სიტყვამ გაფანტა დაბნეულობა ორივე მხარეს შორის, ყინული გალღვა. ამის შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ გულო კაიკაციშვილი, თავისი ურყევი ავტორიტეტის გამო დაიახლოვა და მასთან თანამშრომლობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად. გულო კაიკაციშვილი ჩაება ცხოვრების ახალ ფერხულში. იგი ზრუნავდა ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების დონის ასამაღლებლად ყოველმხრივი მიმართულებით, ეს იქნებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სოციალურ სფეროს განხრით.

1881 წელს ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორის მხარდაჭერით გულო კაიკაციშვილი სოფელ ხუცუბანში იწყებს არქეოლოგიურ გათხრებს, რომელიც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა... ამან განაპირობა ის, რომ 1891 წელს ხუცუბანს ეწვია ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. გ. კაიკაციშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ხუცუბანში აღმოჩენილი მასალების მეცნიერული ღირებულება კოლხეთის ისტორიის შესწავლის მიზნით მეტად მნიშვნელოვანია...

გულო კაიკაციშვილის ილია ჭავჭავაძესთან პირადად გაცნობა, სავარაუდოდ, როგორც გადმოგვცემენ, 1880-იანი წლების დასაწყისში უნდა შემდგარიყო, რომელიც ამ პერიოდში ხშირად ჩამოდიოდა ქ. ბათუმში ქართული სკოლის გამო. ილია ჭავჭავაძე, დიდად დაინტერესებული იყო მოწინავე ქართველ მაჰმადიანებთან თანამშრომლობით. ამ მხრივ გულო კაიკაციშვილი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი მისთვის დიდად საიმედო იყო... თურქთა ბატონობის შემდეგ გულო კაიკაციშვილი სასტიკი წინააღმდეგი იყო აჭარაში დაწყებული მუჰაჯირობის, რაც რუსულ პოლიტიკას მოჰყვა. იგი დღედაღამ ხალხში დადიოდა და მოუწოდებდა მოსახლეობას არ დაეტოვებინათ მამაპაპისეული მამულები.... 1882 წლის 17 აგვისტოს „დროებაში" დაბეჭდილ წერილში გ. კაიკაციშვილმა, საქართველოს მოწინავე საზოგადოებას მიმართა კონკრეტული წინადადებით, რომ მუჰაჯირობისაგან დაცლილი მიწები ზემო აჭარის მოსახლეობისათვის გადაეცათ... რათა აჭარის ზღვის სანაპირო ზოლი კვლავ ქართველებით შევსებულიყო. ეს წინადადება შემთხვევით არ წამოუყენებია ქვეყნის გულშემატკივარ მამულიშვილს, არამედ რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომელიც ცდილობდა ქართველთა საუკეთესო ადგილებზე რაც შეიძლება მეტი რუსი და სხვა ეროვნების ადამიანი დაესახლებინა.

გულო კაიკაციშვილის მიდგომა ამ საკითხისადმი, როგორც ვხედავთ დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, როდესაც აჭარის ზღვისპირეთის 80 პროცენტამდე საუკეთესო მიწები თურქ და არაბ მოქალაქეებს ეკუთვნის და ამას აკეთებს არა რუსეთის იმპერია, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება.

აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შედეგად, როგორც ვიცით, აქ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მზრუნველობით გაიხსნა სკოლები. 1887 წელს, ქობულეთის სახალხო კრებაზე აირჩიეს სკოლის დაარსებისათვის მზრუნველი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ალექსანდრე არობელიძე, დედე აღა ნიჟარაძე, გულო კაიკაციშვილი, რომელმაც სკოლისათვის, მაშინვე გამოჰყო მოზრდილი მიწის ნაკვეთი...

გულო კაიკაციშვილის მზრუნველობით ახალგაზრდები იგზავნებოდნენ თბილისში სასწავლებლად.

გულო კაიკაციშვილმა დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ქობულეთში ბიბლიოთეკის დაარსებისათვის, მისი წიგნადი ფონდის გამდიდრებისათვის,...

გულო აღა კაიკაციშვილი მთელი ცხოვრების მანძილზე აქტიურად უწყობდა ხელს ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას, აჭარაში ქართული წიგნის პროპაგანდას...

1915 წელს ქობულეთიდან დეპუტაცია ეწვია აკაკი წერეთელს. დეპუტაციაში იყო გულო კაიკაციშვილიც. სტუმრებმა დიდი მგოსანი აჭარაში მოიწვიეს, რომლისგანაც თანხმობა მიუღიათ, მაგრამ, სამწუხაროდ მისი გარდაცვალების გამო ეს სტუმრობა არ შედგა...

აკაკის გარდაცვალებით დიდად დამწუხრებული გ. კაიკაციშვილი ხელადვე გამგზავრებულა თბილისში პოეტის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად. სამგლოვიარო მიტინგზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ორატორული ხელოვნების ერთ-ერთ ნიმუშად შეფასდა... გულო კაიკაციშვილის წარმოთქმულმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე... არაერთი გამოხმაურება აღნიშნულ სიტყვაზე პრესაშიც დაიბეჭდა, რასაც ქართული მოწინავე საზოგადოების მიერ მოჰყვა აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება.

გულო კაიკაციშვილი გარდაიცვალა 1923 წელს, 82 წლის ასაკში.

ნათქვამია, მამულისათვის თავდადებულ შვილს დავიწყება არ უწერია. დღევანდელი ჩვენი რეალობა კი საპირისპიროზე მეტყველებს. არდავიწყება არ ნიშნავს მხოლოდ მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის შედგენას და თაროებზე დადებას... როდესაც ხელისუფლება არ ზრუნავს ღვაწლმოსილ წინაპართა დაფასებაზე, ეს ჩვენ, ხალხმა უნდა გავაკეთოთ ჩვენივე მომავალის გადასარჩენად. ამ საქმეში უდიდესი როლი კი პედაგოგებს ეკისრებათ, გარდა მრგვალი, საიუბილეო თარიღებისა, მათ ბავშვებს სხვადასხვა ღონისძიებით უნდა მისცენ საშუალება მიბაძონ დიდ მამულიშვილს, რაც ნებისმიერ ახალგაზრდას ღირსებისა და ეროვნული სიამაყის გრძნობას მატებს.

**ნიაზ ბოლქვაძე**

**მწერალი, ფილოსოფოსი, აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე**

# მკურნალი ბათუმშია!



**სახალხო მკურნალი, მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ბათუმშია. იგი ბუნებრივი მასალების გამოყენებით საოცრად მოკლე დროში კურნავს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა — ოსტეოქონდროზი, სახსრების ანთება, სამწვერა ნერვის ანთება, მხრის, კისრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ოსტეოართროზი, დისკოზი, ჰაიმორიტი, ფრონტიტი.**

**მკურნალი პაციენტებს იღებს ყოველდღე, მისამართზე: ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. (ყოფილი ჯაფარიძის) №45 (ყოფილი საკონდიტრო ქარხნის წინ). მიღება 11-14 საათამდე. ტელ: 599 20 19 66.**

## მადლობა მადლიან და მკურნალს მაყვალა ცინცაძეს

მაწუხებდა სახსრები, მქონდა ოსტეოქონდროზი, ფეხები მისივდებოდა და თავზე ოფლიც მაწუხებდა. გაზეთებში წავიკითხე ქალბატონი მაყვალას შესახებ, რომელიც მკურნალობდა ყოველივე ამ დაავადებებს და მივაკითხე სამკურნალოდ. 12-15 დღიანი მკურნალობის შემდეგ დიდი შედეგი მივიღე მარილებზე, სახსრებზე და ოფლიანობაც შემიჩერდა თავზე. 10 დღის შემდეგ ვაგრძელებ II კურსს.

დიდი მადლობა ქალბატონო მაყვალა მარადიული ყოფილიყავი, ახალგაზრდული, მუდამ მხიარული.

**მერი ხალვაში**

ტელ: 558 14 07 69.

ჩემს შვილს ვაჟა მამეიშვილს 3 წლის განმავლობაში აწუხებდა ჰაიმორიტი და ფრონტიტი, ჰქონდა თავის ტკივილები, ცხვირიდან გამონადენი და უჭირდა სუნთქვა. წელიწადში ორჯერ იკეთებდა გამორეცხვებს და ლაზერულ სხივებს, მაგრამ ეს მკურნალობა დროებითი იყო და უშედეგო.

ჩემს შვილს მისმა კლასელმა ცოტნემ, რომელიც თავად განიკურნა ჰაიმორიტისა და ფრონტიტისაგან, შესთავაზა მისულიყო მაყვალა ცინცაძესთან და დაეწყო მკურნალობა.

ქალბატონმა მაყვალამ ჩაუტარა მკურნალობის მთლიანი კურსი 10 დღე. მკურნალობის პერიოდში ვაჟას შეუჩერდა თავის ტკივილი, დაიწყო თავისუფლად სუნთქვა, ნელ-ნელა შეუმცირდა გამონადენი და ბოლოს სრულიად შეუწყდა.

უფლის წყალობითა და ქალბატონი მაყვალას ფანტასტიური წამლის მეშვეობით ჩემი შვილი განიკურნა.

მთელი გულით ვუხდი მადლობას ქალბატონ მაყვალას. უფალი ფარავდეს მას და მის ოჯახს.

**ვაჟა მამეიშვილი,**

**თბილისი, ტელ: 61 82 60; 599 60 27 08; 599 56 96 60.**

# ავერსის საჩუქარი ხანდაზმულებს

ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე" - უკვე მეორე წელია აქტიურ მუშაობას ეწევა ქობულეთში და ხანდაზმული, გაჭირვებული, მარტოხელა ადამიანების დასახმარებლად, მათი პრობლემების გასაზიარებლად, ხელშეწყობისა და თანადგომისათვის მუდამ მზად არიან.



ორგანიზაციის ენერგიული, ერთობ ნაყოფიერი და ეფექტური მუშაობა არც საზოგადოებისა და არც კიდევ ცნობილი ქველმოქმედი კომპანიების და ბიზნესწრეების მესვეურებს დარჩენიათ შეუმჩნეველი და მათი თანადგომით არაერთი საქველმოქმედო აქციაც შედგა.

ამჯერადაც, ქობულეთელ მარტოხელა და უმწეო ხანდაზმულებს ცნობილმა საქველმოქმედო ფონდმა „ავერსმა" ძალზე დროული, საჭირო და ფრიად მნიშვნელოვანი საჩუქარი გაუკეთა. ათობით ბენეფიციარს საკმაოდ ძვირადღირებული, ეფექტური და მათთვის ესოდენ საჭირო მედიკამენტების ნაკრებები გადაეცა. საქველმოქმედო ფონდ „ავერსი"-ს მიერ ასოციაციისთვის გაკეთებული საჩუქარი უკვე ტრადიციული გახდა.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ქველმოქმედება უფლისგან ბოძებული ნიჭია. როგორც „ავერსის"



საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელმა პაატა კურტანიძემ აღნიშნა -„მადლობელი ვარ უფლის, რომ მან სიკეთის ქმნის შესაძლებლობა მოგვცაო". უდავოდ, დაფასების და მადლობის მეტი რა ეთქმის საზოგადოებას, ამ უდიდესი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანების მისამართით, რომლებმაც დაარსების დღიდან უამრავი სასიკეთო საქმე გააკეთეს და ძალზე ბევრ ადამიანს იმედად გამოეცხადნენ...

აქ შეგახსენებთ გერმანელი დრამატურგის ბრეხტის გენიალურ ნათქვამს კავკასიური ცარცის წრიდან: - ამქვეყნად, ყველა სიკეთე ეკუთვნის იმას, ...ეკუთვნის იმას - ვინც სიკეთეს თესავს"...

ეს ლირიკული გადახვევა შემთხვევით არ მოგვიყვანია, „ავერსი" ქველმოქმედი კომპანიაა. ყველამ იცის, იგი ქართული ფარმაცევტული ინდუსტრიის აღიარებული ლიდერია და მის სახელს უკავშირდება ბევრი სასიკეთო მამულიშვილური საქმე. ძნელია მათგან ყველაზე მნიშვნელოვანის გამოყოფა, სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა კომპანიის დამფუძნებელმა - ამავე კომპანიის საქველმოქმედო ფონდის დაარსება, სწორედ ეს ფონდი ახორციელებს კომპანიის მიერ წამოწყებული აქციების და საქველმოქმედო პროგრამების დაფინანსებას. ჩვენი ასოციაციისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დახმარებაც ამ პროგრამების ეფექტური მოქმედების შედეგია, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

**ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე"**

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

წარსულის ნოსტალგია

აჭარა P.S. - 2011 წლის 26 ივლისი №19 (615)



# დიდი კალათბურთელის ოცნება და...

## ტკაჩენკოს საჯდომზე ბწკენის შედეგი

**წინა თაობას კარგად ახსოვს ნიკოლოზ დერიუგინი, ეს თავაზიანი, ჭეშმარიტი ინტელექტი, ლეგენდარული კალათბურთელი... ამჟამად ქობულეთში, ფიჭვნარში, ზღვის გაშლილ სანაპიროზე დაუდევს ბინა თავის მოსწავლეებთან ერთად. სუფთა ქართულით საუბრობს, თუმცა, ზოგჯერ ქუთაისური კილო გამოჰკრავს... დიდ სითბოს ამჟღავნებს ეს გოლიათი ბავშვების მიმართ. ეს მოზღვავებული სიკეთე გასაოცარ ზემოქმედებას ახდენს ახალგაზრდებზე, ის არა მარტო წვრთნის კალათბურთელებად, არამედ კაცურკაცებად. ამიტომაც არიან მასზე შეყვარებულები ბავშვები და, როგორც ძალიან ახლობელს კოლიას ეძახიან...**

**ეს წარმოსადეგი გარეგნობის, ახალგაზრდა წარმატებული კალათბურთელი იყო სიყმაწვილიდანვე, ფორტუნა ულიმოდა, გოგონები კი შეყვარებულები იყვნენ მასზე...**
**დღეს ეს ლეგენდარული კალათბურთელი მოკრძალებით მესაუბრება თავის შესახებ, ვიხსენებთ წარსულს, ძალიან ლამაზ დროებას...**



**— ბატონო ნიკოლოზ, საიდან მოდიხართ, როგორ აღმოჩნდა თქვენი გვარი საქართველოში?**

— ძველი არ ვიცი, მაგრამ ბაბუა, მამის მამა იმ ნაკადს ჩამოჰყვა საქართველოში, სტალინმა რომ ჩამოიყვანა მძიმე მრეწველობის ასაღორძინებლად. ტყიბულში დასახლდნენ და მაღაროში დაიწყო მუშაობა. იქ დაბადებულა მამაჩემი. დედა უკრაინელი იყო, დოროშენკო, მაიკოპში ცხოვრობდა. მამამ ის რუსეთიდან ჩამოიყვანა. ტყიბულში დავიბადე მე და ჩემი ძმა. იქ მივიღე დაწყებითი განათლება. მერე ოჯახი ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად...

**— წინაპრებიდან ვინ იყო მაღალი, ვის ჰგავხართ?**

— დედის მხრიდან ბაბუა ნიკოლოზი ყოფილა მაღალი, წარმოსადეგი მამაკაცი, ბუდიონივით ულვაშები ჰქონდა. 37-იან წლებს ემსხვერპლა. მის პატივსაცემად დამარქვეს ნიკოლოზი.

**— რატომ გაჰყევით კალათბურთს და არა სხვა სპორტს?**

— მომწონდა კალათბურთი, ძალიან ლამაზი სპორტია, ინტელექტუალური. პატარა ვიყავი მამამ სკამიდან ფარი რომ გამიკეთა და ვყრიდი ბურთებს. პირველი კლასიდან რომ დავიწყე თამაში, ბურთისათვის ხელი არ გამიშვია. მე-7 კლასამდე ჩვეულებრივი ბავშვი ვიყავი, პატარა, მერე ავიყარე ტანი. მე-9-ში 2 მეტერი გავხდი. მამის მეგობარმა რომ შემამჩნია მონდომება, სიმაღლეც ხელს მიწყობდა, მამას უთხრა, მოდი, ეს ბავშვი კალათბურთზე შემოიყვანეო...

**— ახლა რამდენის ხართ?**

— ორი მეტრი და 6 სანტიმეტრი.

**— ქართულად კარგად ლაპარაკობთ, სკოლა ქართული დაამთავრეთ?**

— არა, რუსული სკოლა დავამთავრე, ოჯახშიც ქართულად ვსაუბრობთ. მერე თამაშის დროს შემამჩნიეს წარმატება და ოჯახით თბილისში გადამიყვანეს. იქ დავამთავრე საშუალო სკოლა.

**— არ გაგიჭირდათ ახალ გარემოსთან შეგუება?**

— არც ისე. საუბარზე უფრო ქართული წერა მიჭირდა.

**— როგორც თქვით. ძმა გყავთ, ისიც სპორტსმენია?**

— არა, ისიც მაღალია, მაგრამ სპორტს არ გაჰყოლია. ახლა ამერიკაში ცხოვრობს.

**— ვიცი ვაჟი გყავთ, თქვენსავით მაღალი, კარგი ახალგაზრდა, ამერიკაში ცხოვრობს, ბალტიისპირელი მეგობარი დაგეხმარათ, რომ ბავშვს გზა გაეკვლია სასწავლებლად ამერიკაში.**

— დიახ, ასე იყო. ნიკუშა ამჟამად ამერიკაშია, ვაშინგტონთან ახლოს ქალაქია და იქ ცხოვრობს. სწავლობს კოლეჯში, იმავე კოლეჯის გუნდში თამაშობს კალათბურთს. 2 მეტრი და 2 სანტიმეტრია.

ზღვის სანაპიროზე გავედით. გახედა წყლის უსასრულო სივრცეს და — ძალიან მიყვარს ზღვა, ხმამაღლა წარმოთქვა განაფიქრები. კარგად ვცურავ, ბავშვობიდან ზღვაზე დავდიოდი. ახლაც სულმოუთმენლად ველი ზაფხულს, რომ მოსწავლეები შეკრებაზე ჩამოვიყვანო. შეხედეთ, რა სილამაზეა... დასასვენებელ ადგილს სპეციალურად ვარჩევ, გაშლილს, რომ ბავშვები ვავარჯიშო...



**— თბილისში როგორ აეწყო თქვენი სპორტული კარიერა?**

— თბილისის „დინამოში" ვთამაშობდი. მწვრთნელი ლევან მოსაშვილი იყო. 1975-დან 1985 წლამდე ვითამაშე „დინამოში", მერე ტრავმა მივიღე და ვარჯიში შევწყვიტე. ერთი წელი უნგრეთში, უნივერსიტეტის გუნდში ვითამაშე, ერთი წელი — სლოვაკეთში. 1980 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვთამაშობდი და დიდი სიხარული იქ განვიცადე — მოსკოვის ოლიმპიადის მონაწილე ვიყავი. 1984 წლამდე ვიყავი ნაკრებში. ოლიმპიადაზე ამერიკის ნაკრები არ ჩამოვიდა და ვიფიქრეთ ჩვენი ძირითადი კონკურენტი ჩამოვიცილეთო, გავთამამდით, უკვე გამარჯვებული გვეგონა თავი, რომ იუგოსლავიასთან და იტალიასთან წავაგეთ. საბჭოთა ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. მომდევნო წელს ევროპის პირველობაში ვმონაწილეობდით და ჩემპიონები გავხდით. ოთხი წლის მერე ამერიკაში უნდა წავსულიყავით ოლიმპიადაზე, კარგადაც ვიყავით მომზადებულები, მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირმა ბოიკოტი გამოუცხადა ოლიმპიადურ თამაშებს.

**— ყველაზე მეტი ქულა რომელ თამაშზე დააგროვეთ?**

— 19 წლის ვიყავი მაშინ, თბილისის „დინამო" „ცსკ"-ს ეთამაშებოდა. მარტო მე 59 ქულა დავაგროვე. ამ ასაკში ამდენი ქულა არავის დაუგროვებია. ორქულიანებით, მაშინ სამქულიანები არ იყო. აი, ამის მერე ამიყვანეს საბჭოთა ნაკრებში.



**— როგორ ფიქრობთ, ფორტუნა გწყალობდათ თუ ღმერთი იყო თქვენს საქმეში ჩარეული...**

— ფორტუნაც მწყალობდა და ღმერთიც. შეიძლება სიმაღლე ჰქონდეს ადამიანს, მაგრამ ჭკუა — არა. მე ჭკუითა და სისწრაფით ვუგებდი ყველას. ტკაჩენკო ჩემზე მაღალი იყო, მაგრამ ვუგებდი, რასაც ვისროდი, ყველა ბურთი კალათში ცვიოდა.

**— „ვითაშიც" ითამაშეთ...**

— „ვითაში" ბოლოს ვითამაშე. თითქმის ყველა ტიტული რომ მქონდა, მერე „თბილისი" იყო გუნდი იქ ვითამაშე და ახლა ვარ მწვრთნელის რანგში.

**— ბატონო ნიკოლოზ, რა ხდება, რომ საქართველოში უგულებელყოფილია ყველაფერი ქართული, არქიტექტორი ან ესპანეთიდან ჩამოჰყავთ ან იტალიიდან, მწვრთნელებიც საზღვარგარეთიდან მოჰყავთ, ქართველი კაცი უფრო უკეთ არ იცნობას ქართულ ხასიათს და უკეთ არ ავარჯიშებს?**

— რა გითხრათ, აბა (იცინის). მე უკვე დამაბერეს, როცა შემიძლია მთელი ენერგია, ცოდნა, გამოცდილება ახალგაზრდების აღზრდას მოვახმარო, აღარ მაქვს ნერვები. ვარ ჩემთვის „ტრენერი", დირექტორიც ვარ ამ ახალგაზრდებისთვის და დედმამაც. ორი თვის წინ პარაზიტი აღმომაჩნდა გულზე, ურთულესი ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ არ შემიწყვეტია ვარჯიში. არ შემიძლია უმოქმედოდ ვიყო. მყავს 60 ბავშვი და მათ ვამეცადინებ. რაზე ვოცნებობ იცით? მქონდეს კალათბურთის სკოლა, რაზეც ოქროს ასოებით წავაწერდი „ნიკოლოზ დერიუგინის სკოლა". ამჟამად დავრბივარ სკოლებში, ვთხოვ, ვეხვეწები დირექტორებს, რომ დარბაზი ვიქირავო. ნათქვამია, ადამიანმა მისი სიცოცხლის მანძილზე ერთი ხე მაინც უნდა დარგოს. მე კარგ მოთამაშეს გავზრდი და ეს იქნება ვალის მოხდა ჩემი ხალხის წინაშე. მინდა გავზარდო ფაჩულიასნაირი, სანიკიძისნაირი, ცქიტიშვილისნაირი კალათბურთელები...

**— როგორ მოგძებნეს ამ ბავშვებმა?**

— ამ ბავშვების მშობლები ჩემი ფანები არიან. იციან, რომ მათ გაზრდაში სულს ჩავდებ, ღმერთმა მომცა ეს ნიჭი და, რაც მისწავლია, რა გამოცდილებაც მაქვს გადავცემ ამ მოზარდებს.

**— როგორ ფიქრობთ, კალათბურთელისათვის კმარა მარტო სიმაღლე?**

— კალათბურთი ძალიან ლამაზი სპორტია, მოხერხება უნდა გქონდეს და ნიჭი, ჭკუით უნდა აჯობო მეტოქეს. უნდა გრძნობდე რას ფიქრობს მეტოქე შენს უკან...

**— კურიოზებიც გადაგხდებოდათ...**

— იყო ასეთი. არეულობის პერიოდია, დიდი ფუთებით რომ დაჰქონდა ხალხს სქონელი სავაჭროდ... მივფრინავ მოსკოვში. ერთ ბილეთზე სამი ადგილია გაყიდული. უცებ ამ ხალხით გაჭედილ თვითმფრინავში ფანჯრებზე ისმის კაკუნი. გამოვიძახე სტიუარდესა. მან ეკიპაჟის წევრი მოიყვანა, რომელმაც მისწი-მოსწია ხალხი, სკამებს შორის ნოხი გადასწია, ახადა საბარულს კარები და.... ამოიყვანა 15 ადამიანი, საწყლები გადამალულები სულ გაყინულან. თურმე ისინი აკაკუნებდნენ და მეგონა ფანჯარაზე აკაკუნებდა ვიღაც... ერთ-ერთი თამაშის დროს, ის იყო, ტკაჩენკოს ბურთი უნდა ჩაეგდო, მოჭრა წინა, რომ ვუპწკინე... საჯდომზე. იმან ხელი დამარტყა. მსაჯმა ვერ დაინახა ჩემი ეშმაკობა, დაინახა ტკაჩენკომ ხელი რომ დამარტყა და დააჯარიმა.

**— ბატონო ნიკოლოზ, მენიუს თქვენ ადგენთ?**

— ვუთანხმდები ბავშვებს და ისე ვადგენთ მენიუს, რაც მოსწონთ...

***თავზე ადგას ბავშვებს კოლია მასწავლებელი. ერთს გახედავს და... ვერავინ გაბედავს უარი თქვას კერძზე. ახლახანს ბავშვები წაიყვანა ბათუმში, იყვნენ დელფინარიუმში, გაერთნენ პარკში. „ციცინათელაც" მოინახულეს აქვე, ოზურგეთის ტერიტორიაზე...***

**— ბატონო ნიკოლოზ, რაიმეზე ნანობთ, შემცდარხართ ცხოვრებაში?**

— არა, არაფერს ვნანობ.

**— თქვენი ოჯახის შესახებ გვითხარით, გაგვაცანით ყველაზე ძვირფასი ადამიანები...**

— მეუღლე მადონა დერიუგინა მედიკოსია, პლასტიკურ ქირურგიაში მუშაობს. გვყავს ქალიშვილი, 10 წლის ანა. (ვაჟი ნიკუშა პირველი ქორწინებიდან ჰყავს. ლ. გ.)

***ჩვენს საუბარში წვიმა წამოვიდა და ზაფხულის მზიანი დღე ბახმაროს ცივსა და ბურუსიან დღეს დაემსგავსა. წამოსვლისას, ახლობელს მაინც ვკითხე — ამხელა კაცს საწოლი სპეციალური ექნება, მაგრამ აქ, ან მგზავრობისას, დასასვენებლად რომ არის, სად სძინავს...***

***— ასეთ შემთხვევაში ვამატებთ საწოლს სიგრძეს, ან...***

***ბატონ ნიკოლოზს დამთავრებული აქვს იურიდიული ფაკულტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი. რადგან სხვა მანქანაში ვერ იმართება, ჰყავს ჯიპი DER 011.***

**ლია ბრძელიძე**

### ქველმოქმედება ხანდაზმულთათვის



15 ივლისს ქობულეთში, ხანდაზმულ ქალთა ასოციაციის ოფისში, ხანდაზმულთა საკმაოდ დიდ ჯგუფს შეხვდა და რამდენიმესაათიანი ინდივიდუალურ რეჟიმში ჯანმრთელობასთან და მის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარი ჩაუტარა ქობულეთის რაიონული საავადმყოფოს ექიმმა-თერაპევტმა თამარ ჟორდანიამ. საუბრის ძირითადი თემა 65 წელს გადაცილებული ხანდაზხმული ქალბატონების ტრადიციული პრობლემები გახლდათ. თითოეულ ბენეფიციარს საკუთარი ტკივილი და საზრუნავი გააჩნდა. გამოცდილმა ექიმმა მათ უშუალო გარემოში საოცრად თბილი, შინაურული საუბრის გარემო შეუქმნა, თითოეული მათგანის ჯანმრთელობის პრობლემით დაინტერესდა. იქვე მისცა რჩევა-დარიგებებიც. საუბარი შეეხო იმ მედიკამენტების მიღების რეკომენდაციებსა და რეჟიმებს, მის ეფექტურად გამოყენების პირობებს, რომელიც სულ რამდნიმე დღის წინ ქობულეთელ ხანდაზმულებს „ავერსის" საქველმოქმედო ფონდმა გადასცა.

ბენეფიციარებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს ამ მედიკამენტების გამოყენების, მისი ეფექტურობისა თუ თითოეული მათგანის ინდივიდუალური მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლო თნმხლები მოვლენების შესახებ. იყო სხვა შეკითხვებიც — რომელზედაც ექიმმა მათ ამომწურავი პასუხები გასცა.

დასასრულს, ქალბატონი თამარი ბენეფიციარებს დაჰპირდა, რომ აგვისტოს პირველ რიცხვებში, ამავე ოფისში კიდევ ესტუმრება მათ. თან მოიტანს კარგიოგრამის გადამღებ აპარატურას, ყველა მსურველს გადაუღებენ კარდიოგრამას და შესაბამისად ჩაუტარებენ კარდიოკონსულტაციებსაც. ამ ინფორმაციამ მოხუცების განსაკუთრებული მადლიერება გამოიწვია.

როგორც ხანდაზმულ ქალთა ას-



ოციაციის „ღურსეული სიბერე"-ხელმძვანელმა ქალბატონმა ნანა კალანდაძემ გვითხრა, ანალოგიური აქციები კიდევ უფრო ინტენსიური გახდება, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, რაც შეეხება დღევენდელ აქციას, პირდაპირ გეტყვით, რომ მსგავსი შეხვედრებით უდიდესი საქმე კეთდება. დღეს ჩვენს მოხუცებს მართლაც მნიშვნელოვანი დღე ჰქონდათ, ქალბატონმა თამარ ჟორდანიამ მათ ნამდვილად კარგი საჩუქარი გაუკეთა, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოვახსენებთ, თანაც ისიც მიხარია, რომ იგი ამ მნიშვნელოვან საქმეში მარტო არაა და იმედია ეს წრეც უფრო გაფართოვდება".

**ჯანო ქობულაძე**




სახურიხება თამაშინა
Geogrand
ინტერნეტ-ტოტალიზატორი "გეო გრანდი"
WWW.GEOGRAND.GE
მხოლოდ ჩვენთან:
კოეფიციენტების ნამრავლი-2000
თამაშების ფართო არჩევანი
ყველაზე მაღალი კოეფიციენტები


ტექნიკურ სამუშაოებთან დაკავშირებით გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ა/წ 9 აგვისტოს.


## უზბეკური სამზარეულო ბათუმში






ბათუმში დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე გაიხსნა უზბეკური სამზარეულო, სადაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ საუკეთესო ტრადიციული კერძები, მისცეთ შეკვეთები სახლიდან გაუსვლელადაც 24 საათის განმავლობაში.

**მის: ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №10, ტელ: 579 44 34 37.**

## სიახლე აჭარაში!

### გაწუხებთ პროსტატის ადენომა?

### მოგვმართეთ ჩვენ!



მკურნალობა ოპერაციის გარეშე ახალი ინოვაციური მეთოდით!

წარმოგიდგენთ ისრაელის კომპანია **DIREX initia medical technologies** მიერ შექმნილ ტრანსურეთრალური რადიოტალღური აბლაციური პროსტატექტომიის აპარატს **THERMEX-TURAPI.**

თანამედროვე მიკროკომპიუტერული სისტემა, რომელიც იყენებს რადიოტალღურ ენერგიას წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილის თერმული აბლაციისთვის (შეჭმუხვნა), ქირურგიული ჩარევისა და ყოველგვარი ზოგადი თუ რეგიონალური ანესთეზიის გარეშე.

პროცედურის ხანგრძლივობა ინდივიდუალური შერჩევით. პროცედურის წარმოება ხდება ამბულატორიულ პირობებში.

### მეთოდის უპირატესობები:

1. მეთოდი ტარდება ამბულატორიულ პირობებში ანესთეზიის გარეშე; 2. გამოირჩევა მაღალი დადებითი სამკურნალო ეფექტურობით; 3. გამოიყენება ასევე ისეთი კატეგორიის პაციენტებისთვისაც, რომელთა რადიკალური ოპერაციული მკურნალობა უშედეგოა (ამ კატეგორიას მიეკუთვნება პაციენტები გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით და სხვადასხვა ტიპის ინსულტებით); 4. მეთოდი არის ნაკლებინვაზიური, სისხლდენებისა და სხვა გართულებების გარეშე; 5. მსოფლიო წამყვანი კლინიკების 18 წლიანი გამოცდილება; 6. ასაკობრივი ზღვარი 20-დან ზემოთ.



მეთოდი არ გამოიყენება პროსტატის კიბოთი დაავადებილ და გულის კუნთის რითმის სტიმულატორის მქონე პაციენტებში.

**მის: ქ. ბათუმი, ბარათაშვილის ქ. № 24, დიაგნოსტიკური ცენტრი. ტელ: 877 450 309 ექიმი უროლოგი ლევან გვარიშვილი**


გურამ ბეჟანიძე, გია მოწყობილი, კახა კაკალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **მამია მსხალაძე** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

---

ხასან ბეჟანიძის ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა **მამია მსხალაძე** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---

თემურ თხილაიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება **მამია მსხალაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს


## შპს „ნილე-ჯგუფი"




**გამოიძახეთ გაზი**

**3-24-03; 7-36-39**

ჩვენი აბონენტებისათვის გაზის ხელსაწყოების ტექნიკური მომსახურება უფასოა!

**დარეკეთ: 893 18-19-74**





www.adjaraps.wordpress.com
საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი
აჭარა P.S.
გამოცემის მეთოთხმეტე წელი
ჩვენ არ ვიცვლით ფერს!
E-mail:adjaraps@mail.ru

მთ. რედაქტორი ჯემალ მეგრელიძე
დამფუძნებელი შპს „გაზეთი აჭარა P.S."
რეგისტრაციის № 03-4-111

*მისამართი: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ.№13, ტელ: 2 36 06, მთ. რედაქტორი: 9-24-04*

სარედაქციო კოლეგია: ამირან კილურაძე, ეთერ ჩხაიძე, ნუგზარ ჟორდანია, ნანა ახალაძე, ცისანა ანთაძე, ნაირა ქობულაძე, ნატო ბერია.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის მიერ შეუკვეთავი პუბლიკაციისათვის ჰონორარი არ გაიცემა. R ნიშნით აღნიშნული მასალები სარეკლამოა. B ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალა უფასოა!

იბეჭდება შპს „პოლიგრაფ - 2010"-ში, მის: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.№162